ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორები

თბილისი, 2010

კვლევა მოამზადა მწვანე ალტერნატივამ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერით განხორციელებული კოალიციური პროექტის – „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა” – ფარგლებში. კოალიციური პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი ”ღია საზოგადოება-საქართველოს” ან პარტნიორი ორგანიზაციების შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2015 (განახლებული გამოცემა)

ფოტო@მწვანე ალტერნატივა ხდის ხეობა, „ყაზბეგი ჰესის“ აშენების შედეგად დამშრალი მდინარე ბროლისწყალი

ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორები

სარჩევი

შესავალი 2

კომპანიებზე მორგებული კანონმდებლობა 6

საარჩევნო შემოწირულობები 9

კანონის შერჩევითი აღსრულება მთავრობის უცვლელი ფავორიტებისთვის 10

სასამართლო პრაქტიკა 12

„მბრუნავი კარი“ და „ჩვენი ბიჭების ქსელი“ 13

პრემიერ-მინისტრი კანონზე მაღლა 20

შეუცვლელი საჯარო მოხელეები 22

ბოლოთქმა 23

- საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო 23
- დარიალის ხეობაში განხორციელებული ჰესების პროექტები 24

რეკომენდაციები 27

ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორები

შესავალი

განვითარებად ქვეყნებში კორუფცია ბუნებრივი რესურსების მართვის თანამდევი მოვლენაა და ეს საკითხი კარგად არის დოკუმენტირებული[1]. მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული არაერთი კვლევა მოწმობს, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და კორუფციის დონეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხი განსაზღვრავს[2]. გამოიკვეთა, ერთი შეხედვით, საოცარი ფენომენი - დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დეფიციტის პირობებში, ბუნებრივი რესურსით მდიდარი ქვეყნები შედარებით ნელა ვითარდებიან, ვიდრე რესურსით ღარიბი ქვეყნები[3]. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ რესურსების სიჭარბე ბადებს კორუფციას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს[4]. ამასთანავე, კვლევებში ნათლადაა ნაჩვენები, რომ დემოკრატიზაცია შესაძლოა გახდეს კორუფციასთან ბრძოლის მძლავრი იარაღი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე დამოკიდებულ მდიდარ ქვეყანაშიც კი.

ნებისმიერ ქვეყანაში კორუფცია სახელმწიფოებრიობის უდიდეს პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს. საფრთხე კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც კორუფცია უკავშირდება ბუნებრივი რესურსების მართვას: როგორც წესი, მოკლე ხანში მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღწევისათვის, ხდება სოციალური და ეკოლოგიური საკითხების უგულებელყოფა, რისი საბოლოო შედეგია დეგრადირებული ეკოსისტემები, განიავებული და დაზიანებული ბუნებრივი რესურსები; ილახება ადამიანის ისეთი უფლებები, როგორიცაა საკუთრების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, ჯანსაღ და უსაფრთო გარემოში ცხოვრების, სიცოცხლის და სხვა უფლებები. ეკოსისტემების დეგრადაცია, პირველ რიგში, გავლენას ახდენს ეკოსისტემურ სერვისებზე[5] დამოკიდებულ ღარიბ, ხელმოკლე მოსახლეობაზე, იწვევს მათი შემოსავლების შემცირებას და შესაძლოა - იძულებით განსახლებასაც. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, მტკივნეულად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზეც. ამრიგად, ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული კორუფცია სახელმწიფო ინტერესებს განსაკუთრებით დამანგრეველ დარტყმას აყენებს.

საზოგადოდ, კორუფცია შეიძლება გავრცელებული იყოს მთელს სისტემაში, დაწყებული სანებართვო დოკუმენტაციის გაცემიდან, დამთავრებული კანონშემოქმედებამდე. ნებისმიერი ტიპის ხელისუფლებაში შესაძლოა გავრცელებული იყოს პოლიტიკური კორუფცია. კორუფციის ფორმები განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია მფარველობა, მექრთამეობა, გამოძალვა, ძალაუფლებით ვაჭრობა (სასურველი სარგებლის სანაცვლოდ "საჭირო" გადაწყვეტილების მიღება), თაღლითობა,

[1] Charles Palmer, The Nature of Corruption in Forest Management World Economics, Volume 6, Number 2, 2005, p. 1 – 10.

[2] Sambit Bhattacharyya & Roland Hodler, Natural Resources, Democracy and Corruption OxCarre Research Paper No. 2009-20, available at: http://www.oxcarre.ox.ac.uk;

[3] Erwin Bulte, Richard Damania, Resources for Sale: Corruption, Democracy and the Natural Resource Curse**,** The B.E. Journal of Economic Analysis & Policy. Volume 8, Issue 1, ISSN (Online) 1935-1682,DOI: 10.2202/1935-1682.1890, February 2008 http://www.degruyter.com

[4] Leite and Weidmann, 2002; Sala-i-Martin and Subramanian, 2003; Isham et al., 2005

[5] ეკოსისტემური სერვისები - პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებელი, რომელსაც ადამიანი იღებს ეკოსისტემებისგან (მაგალითად, საკვები, საშენი მასალა, შეშა, სასმელი წყლის და ჰაერის ხარისხის კონტროლი, წყალდიდობების პრევენცია და ა.შ. დაწვრილებით იხ. www.teebweb.com).

სახელმწიფო თანხების გაფლანგვა/მითვისება, ნეპოტიზმი[6], კრონიზმი[7]. ქვეყანაში კორუფციის ხელშემწობი ფაქტორებიდან შესაძლებელია გამოიყოს:

- მოსახლეობის სიღარიბე, მძიმე სოციალური ფონი;
- დიდი ფინანსური დაინტერესება;
- სახელმწიფო მოხელეების მწირი დაფინანსება;
- ხელისუფლებასთან დაახლოებული დახურული ჯგუფების არსებობა, რომელთა კერძო ინტერესი წარმოჩინდება „საზოგადოებრივ ინტერესად“ (ე.წ.„მბუნავი კარი“(„Revolving door”) და „ჩვენი ბიჭების ქსელი“ („Old Boy network“);
- მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბალი პოლიტიკური, სამართლებრივი და გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- წინააღმდეგობრივი კანონმდებლობა, რომლის მოთხოვნათა შესრულება ხშირად შეუძლებელია;
- კანონაღსრულების დაბალი დონე;
- კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფა;
- სიტყვის, გამოხატვის ან პრესის თავისუფლების შეზღუდვა/უგულებელყოფა;
- რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული დარგების არასწორი დაგეგმვა და მართვა;
- რესურსებით სარგებლობის ადგილობრივი ტრადიციებისა და სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა;
- მთავრობის არასაკმარისი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა;
- გაუმართავი კანონმდებლობა და ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას;
- კორუფციის აღმოფხვრისა და კანონის აღსრულების პოლიტიკური ნების ნაკლებობა;
- არასრულყოფილი საარჩევნო პროცესები (ძვირადღირებული საარჩევნო კამპანიები, რომელთა დანახარჯები აღემატება პოლიტიკური დაფინანსების კანონით დადგენილ წყარობს და სხვ.);
- საარჩევნო კამპანიისათვის შეწირულობების არასრულყოფილი კანონმდებლობა/კონტროლი.

ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, საქართველოში ბუნებრივი რესურსების სარგებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორში (სატყეო მეურნეობა, ნადირობა, ენერგეტიკა, წიაღის მოპოვება-გადამუშავება) არსებობს სპეციფიური პრობლემები, რომლებიც განაპირობებენ ამ რესურსების არამდგრად მართვას და ქმნიან კორუფციული გარიგებების შესაძლებლობებს. მაგალითად, ასეთებს განეკუთვნება ბუნებრივი რესურსების რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ სარწმუნო მონაცემების უქონლობა. იმის ფონზე, რომ საქართველოში ათწლეულებია არ ჩატარებულა საფუძვლიანი ტყის ინვენტარიზაცია (ე.წ. ტყეთმოწყობა), ჰიდროლოგიური დაკვირვებები, ფლორისა და ფაუნის კვლევები, წიაღისეული რესურსების დაძიება-შეფასება, ბუნდოვანია მიწის საკუთრებისა და მიწათსარგებლობის ძირეული საკითხები და ა.შ. მიიღებოდა და ამჟამადაც მიიღება სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები ბუნებრივი რესურსების ათვისების, ან ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომლებსაც შეუქცევადი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. გარდა ცალკეული სექტორის სპეციფიური პრობლემებისა, არსებობს „გამჭოლი“ პრობლემები, რომლებიც საერთოა ყველა სექტორისათვის: გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ცუდი კანონმდებლობა და პრაქტიკა, ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის სავალალო დონე, გაუმართავი გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა, გარემოდაცვითი დანაშაულის დაუსჯელობა და სხვ. ძალზე უარყოფითი შედეგები მოაქვს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალების ნაკლებობას (ტყის და ნადირობის მენეჯმენტის, ჰიდროეკოლოგიის, ენერგეტიკის, სამთო მრეწველობის და ბუნებრივი რესურსების მართვის სხვა მომიჯნავე საკითხებში) და სხვ.

***

[6] ნეპოტიზმი - ნათესავების კერძო ინტერესების პრევალირება სახელმწიფო ინტერესებზე; თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების, ახლობლების მფარველობა.

[7] თანამდებობებზე ლოიალური ადამიანების დანიშვნა, მეგობრებისათვის უპირატესობის მინიჭება

საქართველოში ბუნებრივი რესურსების (სატყეო სექტორი, ენერგეტიკა, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა) მართვის სფეროში კორუფციას არაერთი კვლევა ეხება. 2004 წლამდე არსებულ სიტუაციას ასე აღწერს პოლ რიმპლი წიგნში "ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012"[8]: „2001 წელს, როდესაც საქართველოში პირველად ჩამოვედი, სახელმწიფო მოხელეები და ბიზნესმენები ქვეყნის რესურსებს უაზროდ და სულელურად აჩანაგებდნენ. აქ ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც 30-იანი წლების ჩიკაგოში – იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ქვეყანა ბაზარზე გასაყიდად გამოეტანათ. პოლიცია მოქალაქეების კი არა, მხოლოდ საკუთარი მერკანტილური ინტერესის დაცვაზე იყო გადასული და ყოველდღიურ „ლუკმაპურს" შემთხვევითი ადამიანებისგან ფულის გამოძალვით შოულობდა. ენერგეტიკის მინისტრი ქვეყნის მწირ ენერგეტიკულ რესურსებს „გვერდზე" ჰყიდდა და ზამთარში მთელ ქვეყანას სიბნელესა და სიცივეში ამყოფებდა. მაღალი რანგის კრიმინალების სახელები ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რადგან ისინი საკუთარი ნეპოტიზმის სააშკარაოზე გამოტანას არათუ ერიდებოდნენ, ამაყობდნენ კიდეც მისით. საქართველოში კანონიერი გზებით გამდიდრება შეუძლებელი იყო".

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადდა ადამიანის უფლებების დაცვაზე და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ძლიერი დემოკრატიის მშენებლობა და სისტემურ დონეზე კორუფციის ამოძირკვა. სამწუხაროდ, ცალკეულ სფეროში, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებში, კორუფციასთან ბრძოლას მხოლოდ დეკლარირებული ხასიათი ჰქონდა და როგორც მოსალოდნელი იყო, არ მოიტანა ხელშესახები შედეგები. კორუფციასთან ბრძოლა გაიგივებული იქნა მხოლოდ რეპრესიულ ზომებთან (მაგალითად, კორუმპირებული ჩინოვნიკების სამსახურიდან დათხოვნა ან/და პასუხისგებაში მიცემა) და სახელმწიფო უწყებების დაუსრულებელ სტრუქტურულ ცვლილებებთან, რასაც არ ახლდა შესაბამისი ნაბიჯები ხელისუფლების გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისათვის. ამის საპირისპიროდ, ბოლო წლებში კიდევ უფრო გაუარესდა გარემოსდაცვით საკითხებზე საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობისა და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი კანონმდებლობა და პრაქტიკა[9].

სხვადასხვა კვლევაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად, 2003-2012 წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა, საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ელიტური კორუფცია დარჩა[10]. საქართველოში ფიქსირდება ელიტური კორუფციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ტენდენციები; ფავორიტიზმი სახელმწიფოს მხრიდან და შიდა გარიგებები ბიზნესის ცალკეულ წარმომადგენლებთან; პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სასამართლო სისტემა, რაც განაპირობებს სახელმწიფოს ზეგავლენის შედეგად მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებებს, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში და იწვევს უნდობლობას საერთაშორისო ინვესტორების თვალში[11].

წიგნში "ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012" აღნიშნულია, რომ 2004 წლიდან ხშირი იყო შემთხვევები, როცა კანონებს სწრაფად იღებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ „მეგობრული" ბიზნესის ინტერესები დაეკმაყოფილებინათ[12]". ამის საილუსტრაციოდ კვლევაში მოყვანილი ერთ-ერთი მაგალითია 2012 წელს მიღებული კანონი, რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების მოპოვებაზე არსებული აკრძალვა გააუქმა. კვლევაში აღნიშნულია, რომ „მართალია, ამ კანონის მიღებას წინ არც

[8] პოლ რიმპლი, 2013, "ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

[9] ი. მაჭარაშვილი, 2012, ტყის დაცვა და მართვა საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 58 გვ. ხელმისაწვდომია: www.greenalt.org

[10] საერთაშორისო გამჭვირვალობის 2011 წლის ანგარიში კორუფციის აღქმის ინდექსის თაობაზე; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2012, ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა

[11] ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2012. ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა

[12] პოლ რიმპლი, 2013, "ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

ცხოველთა პოპულაციების აღრიცხვა უძღოდა და არც ნადირობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების დანერგვა, მაგრამ ის ძალიან სარფიანი აღმოჩნდა საბა კიკნაძისთვის, რომელიც ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი უფროსია, ამჟამად კი ტურისტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებულ რამდენიმე ბიზნესს მართავს. მათ შორისაა ძვირადღირებული სამონადირეო აღჭურვილობის ფირმა „კავკასიური საფარი“, რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე ნადირობის მსურველებს მეგზურებით ამარაგებს“. ამავე კვლევაში ელიტური კორუფციის სხვა შემთხვევებთან ერთად განხილულია „ჭიათურმანგანუმთან“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან და „მადნეულთან“ დაკავშირებული საკითხები.

მწვანე ალტერნატივას მიერ, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერით განხორციელებული კოალიციური პროექტის „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა” ფარგლებში[13] მომზადდა სამი კვლევითი ანგარიში. აღნიშნული კვლევებისათვის განისაზღვრა სამი პრობლემური სექტორი: წიაღით სარგებლობა, ტყითსარგებლობა და ჰიდროენერგეტიკა. ასევე განისაზღვრა ამ სფეროებში მოქმედი თითო კომპანია, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სუბიექტის მიერ წარმოებული საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის ხარისხი; სექტორში უპირატესი მდგომარეობა; დარღვევათა სიხშირე და მასშტაბი; ნეპოტისტური კავშირები; კონკრეტული ბიზნესის სასარგებლოდ მიღებული ინიციატივები/ცვლილებები და დაშვებული გამონაკლისების სიხშირე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა სამი კვლევითი ანგარიში: 1. „მადნეული კანონზე მაღლა“, სადაც განხილულია ბოლნისის რაიონში ფერადი ლითონების მოპოვებასთან დაკავშირებული კომპანიების საქმიანობა; 2. კვლევაში „ენერგო-პროექტები და კორუფცია საქართველოში“ განხილულია კომპანია „ფერი“-სა და მასთან დაკავშირებული სხვა კომპანიების საქმიანობა; 3. კვლევაში „ნადირობა გადაშენების წინაშე მყოფ ცხოველებზე“ აღწერილია საქართველოს მთავრობის მცდელობა, შემოეღო კომერციული ნადირობა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე და ამ საკითხთან დაკავშირებული კომპანიების საქმიანობა. სამწუხაროდ, ამ კვლევებში კიდევ ერთხელ და აშკარად წარმოჩინდა ელიტური კორუფციის სხვადასხვა მახასიათებელი; დავინახეთ სისტემური პრობლემები, რომლებიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან საქართველოში ელიტური კორუფციის განვითარებისათვის. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა სექტორთან დაკავშირებულ კვლევებში ერთიდაიგივე პიროვნებები ფიგურირებენ.

წინამდებარე ნაშრომში განზოგადდა ზემოხსენებულ სამ კვლევაში წარმოჩენილი პრობლებები და მომზადდა რეკომენდაციები, როგორც განხილულ სექტორებში გასატარებელი ღონისძიებების, ისე კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

[13] კოალიციური პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

კომპანიებზე მორგებული კანონმდებლობა

კონკრეტული ჯგუფებზე ან პიროვნებებზე მორგებული სამართლებრივი აქტების მიღება საქართველოში საკმაოდ მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს. როგორც წესი, ასეთი აქტების მიღება ხდება სათანადო დასაბუთების გარეშე, თანაც საქართველოში მოქმედი საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის უგულებელყოფით. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა გამოკვლეული სამი შემთხვევაშიც.

გარკვეულ კომპანიებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე სანადიროდ უცხოელი მონადირეების მოწვევის შესაძლებლობა რომ მისცემოდათ, 2011 წლის ნოემბერში პარლამენტმა არაერთ კანონში შეიტანა ცვლილება. „წითელ ნუსხის“ სახეობებზე ნადირობის დაუყოვნებლივ დასაწყებად მთავრობამ და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმაც რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი გამოსცეს.

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად შექმნილი შესაძლებლობებით ჩვენს მიერ კვლევებში განხილულმა სხვა კომპანიებმაც ისარგებლეს. 2012 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა N928 განკარგულება „ჰიდროელექტროსადგურის „შილდა ჰესი“ შეუფერხებელი მშენებლობისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ[14]“. განკარგულების მიხედვით, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდის მახლობლად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტის - „ჰიდროელექტროსადგურის „შილდა ჰესის“ მშენებლობის შეუფერხებელად განხორციელებისათვის, სს “GGEDC”- ს (საიდენტიფიკაციო კოდი 406046130) მიეცა უფლება, გარემოდან ამოიღოს თავის საკუთრებაში არსებულ 9378 კვ.მ. მიწის ფართობზე (საკადასტრო კოდი - 57.35.52.051) არსებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი 27 ერთეული კაკლის ხე“.

მართალია, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონი, 2011 წლის 8 ნოემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული ველური მცენარეების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) უფლებას იძლევა, მაგრამ არ არსებობს „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ განსაზღვრის სამართლებრივი კრიტერიუმები. ყვარლის რაიონში, მდინარე ჩელტიზე 5 მგვტ სიმძლავრის შილდას ჰესის აშენების გამოცხადება ერთდროულად საზოგადოებრივ და სახელმწიფო მნიშვნელობად, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება.

კომპანიების სასარგებლოდ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს შორის გამორჩეულია „დარიალჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით მიღებული აქტები. შპს „დარიალი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ „დარიალის ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოს დაცვის სამინისტრომ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე გასცა. „დარიალი ენერჯის“ მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში ნათლად იყო აღნიშნული, რომ ჰესის გარკვეული ნაწილი განთავსებული იქნებოდა ყაზბეგის ეროვნული პარკში, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით[15]. ფაქტიურად, „დარიალი ენერჯი“ ითხოვდა ნებართვას კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისათვის. გარემოს დაცვის სამინისტრომ ვერ გაბედა ამ აშკარა კანონდარღვევაზე (დაცულ ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა) დათანხმება. ამიტომ, ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ჯერ მთავრობამ გამოსცა განკარგულება,

[14] განკარგულების ტექსტის თანახმად, ის გამოცემულია „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის 23 პუნქტის. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

[15] „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

ხოლო მოგვიანებით (მას შემდეგ რაც დარღვევებით გაიცა მშენებლობის ნებართვა) პარლამენტმა შეიტანა კანონში ცვლილება. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ 2011 წლის 18 ნოემბერს გამოსცა N2247 განკარგულება, რომლითაც სს „დარიალი ენერჯის“ გამოუყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დარიალის ჰესის მშენებლობისათვის 87737 კვ.მ მიწის ფართობი მშენებლობის ნებართვის აღებამდე. ამრიგად, პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას (რადგან საკითხის გადაწყვეტა საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა) და სრულიად უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ (როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა) საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მაშინდელ ხელმძღვანელს, ზაზა ნანობაშვილს გარკვეული კითხვები გააჩნდა, თუ რამდენად მართებული იყო „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დებულების[16] გამოყენებით დაცული ტერიტორიის ნაწილის გადაცემა ჰესის მშენებელი კომპანისათვის, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც კომპანიას და ენერგეტიკის სამინისტროს სურდათ. ხაზგასასმელია, რომ განკარგულების ტექსტი გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტმა (იმ დროს მას ნიკოლოზ ჭახნაკია ხელმძღვანელობდა) კომპანიის წარმომადგენლების მეშვეობით მიიღო. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლებრივად იმდენად არასწორი იყო, რომ პროცესში პარლამენტიც ჩაერთო: ენერგეტიკის სამინისტროს ინიცირებით, 2012 წლის 13 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც ყაზბეგის ეროვნულ პარკს 20 ჰექტარი ტერიტორია ჩამოეჭრა. კანონმდებლობის თანახმად, დაცული ტერიტორიის შემცირებასთან დაკავშირებული ცვლილების უფლება პარლამენს მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს წარდგინებით შეეძლო, ისიც კანონით გათვალისწინებულ საგანგებო შემთხვევებში (დაცული ეკოსისტემების კატასტროფული და შეუქცევადი რღვევა, ფართო აღდგენითი სამუშაოების აუცილებლობა)[17].

კიდევ ერთი უპრეცენტენტო სამართლებრივი აქტი, რომელიც იქნა მიღებული კომპანია „ფერის“ სასარგებლოდ, იყო მთავრობის განკარგულება N460 „მდ. ალაზანზე ხადორი-2 ჰესის მშენებლობის საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისგან გათავისუფლების შესახებ“. ამ განკარგულების გამოცემამდე 1 თვით ადრე, 2009 წლის 22 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N292 ბრძანებით შპს „ფერი“-ს უარი ეთქვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე, ვინაიდან სამინისტროში წარმოდგენილი ანგარიში ძალზე უხარისხო იყო. ნიკა გილაურის მიერ ხელმოწერილი განკარგულების მიხედვით, „საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს დაუყოვნებლივ“. რა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესს უკავშირდებოდა 1,8 მეგავატიანი ჰესის მშენებლობა, ყოვლად გაუგებარია.

ხელისუფლების გაუმჭვირვალე და საეჭვო ქმედებებს განეკუთვნება ამავე კომპანიის სასარგებლოდ ხდის ხეობაში „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაც. ყოველგვარი დასაბუთებისა და შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგების გათვლის გარეშე, შპს „ყაზბეგი ჰესის“ მესაკუთრეთა სურვილის დასაკმაყოფილებლად, სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურებმა (ადგილობრივი თვითმმართველობა, ეკონომიკის სამინისტრო, პრეზიდენტი), შეთანხმებულად, სულ ერთ კვირაში, მიიღეს გადაწყვეტილება მდინარე ბროლისწყალზე ახალი, არანაკლებ 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის აშენების შესახებ (მათ შორის, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაც - N 04/06/02, 2012 წლის 4 ივნისი).

ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით სამთავრობო უწყებებს გადაწყვეტილების მიღება ორჯერ მოუწიათ. 2013 წლის გაზაფხულზე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა გაიცა, რასაც ამ სამინისტროზე სერიოზული ზეწოლა მოჰყვა პრემიერ-მინისტრისა და ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან. ასევე, ყოველგვარი დასაბუთების

[16] „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილება

[17] საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, მუხლი 14.2.

გარეშე კომპანია „ფერის“ გაუგრძელდა „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობის შესახებ მემორანდუმის მოქმედების ვადა, რომელიც დარღვეული იქნა უხარისხო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების გამო მშენებლობის ნებართვის მიუღებლობით.

განსაკუთრებულ აღნიშნვას იმსახურებს 2012 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის საფუძველზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ნებისმიერ სამართალდამრღვევს გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ მიეცა სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შესაძლებლობა. იმთავითვე აშკარა იყო, რომ ეს კანონი შეიცავდა გარემოსდაცვით, კორუფციულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ რისკებს და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ გარემოს დაცვის ყველა ძირითად პრინციპს. ამ კანონით ისარგებლეს სს „მადნეულმა“ და შპს „კვარციტმა; კომპანიებს 13 მილიონი ლარის გადახდის შეპირების სანაცვლოდ, 1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე ჩადენილი ყველანაირი დარღვევა და დანაშაული ეპატია, ისე, რომ არ ყოფილა შეფასებული ამ 18 წლის განმავლობაში გარემოზე მიყენებულ ზიანის ოდენობა და არც დარღვევევების სხვა შედეგები[18].

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ეს კანონი გააუქმა კოალიცია „ქართული ოცნების“ უმრავლესობით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ ის უკანონოდ სცნო. მიუხედავად ამისა, კვლავ გაგრძელდა „მადნეულისა“ და „კვარციტის“ სამართალმემკვირდის - კომპანია RMG-ის სასარგებლოდ, უკანონო აქტების გამოცემის ტრადიცია. კერძოდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით[19] დაკმაყოფილდა ამ კომპანიის უკანონო მოთხოვნა და ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტს, რომელიც არაერთი ცნობილი მეცნიერის შრომების მიხედვით, 5000 წელზე მეტი ხნისაა და მსოფლიოში უძველეს ოქროს საბადოს წარმოადგენს (რასაც 2012 წლამდე პოპულარიზაციას უწევდა და საკუთარი საქმიანობის რეკლამისთვისაც კი იყენებდა RMG). ამ ბრძანების საფუძველზე, მისი გამოცემიდან 5 დღეში საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ასევე უკანონო ბრძანებულება, რომლითაც ეს ძეგლი ამოღებული იქნა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლების ჩამონათვალიდან[20].

საყურადღებოა, რომ იმ ფონზე, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბლოკავდა „ქართული ოცნების“ ყველა ინიციატივას, უმოკლეს პერიოდში ეთანხმებოდა ხოლმე მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკური გუნდის იმ პროექტებს, რომლებიც გარემოს დეგრადაციასა და კომპანიების ინტერესების ლობირებასთან იყვნენ დაკავშირებული. „ქართული ოცნების“ მთავრობისა და მიხეილ სააკაშვილის სინქრონულ ქმედებებს შეეწირა კიდევ ერთი ძეგლი - ბუნების ძეგლი ხდის ხეობა[21]. კომპანია „ფერის“, მთავრობისა და პრეზიდენტის ძალისხმებით (გამოცემული აქტების საფუძველზე), მანამდე გაუგრძელდა მემორანდუმის პერიოდი, სანამ არ მიიღო ამ ხეობაში „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობის ნებართვა.

[18]იგივე ტიპის შეთანხმება შპს „საქნახშირს“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) მხოლოდ 40 000 ლარი დაუჯდა. დაწვრილებით ამ საკითხზე იხ.: ნ. გუჯარაიძე 2013, გარემოს წინააღმდეგ ფარულად დადებული შეთანხმებები, მწვანე ალტერნატივა, 28 გვ. www.greenalt.org

[19]საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისა 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება

[20] საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისს №563 ბრძანებულება

[21] ქ. გუჯარაიძე, 2013, ენერგო-პროექტები და კორუფცია საქართველოში, მწვანე ალტერნატივა, www,greenalt.org

საარჩევნო შემოწირულობები

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, პოლიტიკური/ელიტური კორუფციის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა არაგამჭვირვალე საარჩევნო პროცესები და საარჩევნო კამპანიისათვის შეწირულობების არასრულყოფილი კანონმდებლობა და კონტროლი. სხვადასხვა კვლევაში კარგადაა აღწერილი, კომპანია „მადნეულის“ (ამჟამად RMG Copper) მიერ მმართველი პოლიტიკური პარტიისათვის გაკეთებული შემოწირულობების შესახებ. მაგალითად, აღნიშნულია, რომ კომპანია „მადნეულის“ ადმინისტრაციის სამმა წარმომადგენელმა, მათ შორის ფინანსურმა დირექტორმა, შესყიდვების დირექტორმა და წარმოების დირექტორმა მმართველ პარტიას საერთო ჯამში 180 ათასი ლარის შემოწირულობა ჩაურიცხეს და კომპანიის კიდევ ერთმა ყოფილმა წარმომადგენელმა, გიორგი დევაძემ, რომელიც შემოწირულობის გაკეთების დროს „მადნეულის“ აღმასრულებელი დირექტორი იყო, 60.000 ლარის შემოწირულობა გააკეთა[22]. „მადნეული“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი დამფინანსებელი იყო და 2012 წლის პირველ ექვს თვეში, მისმა რამდენიმე ხელმძღვანელმა პარტიის ყულაბაში საერთო ჯამში 240 ათასი ლარი შეიტანა.

ჩვენს კვლევაშიც გამოიკვეთა, რომ ის კომპანიები, რომელთა სასარგებლოდაც საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილებებს იღებდა მთავრობა, მმართველი პოლიტიკური გუნდის სასარგებლოდ მნიშვნელოვან თანხებს გასცემდნენ. ასე მაგალითად, შპს „ფერიმ“ მმართველ პოლიტიკურ პარტიას - „ნაციონალურ მოძრაობას“, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას 50 ათასი ლარი შესწირა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებს უკვე აკრძალული ჰქონდათ შემოწირულობების მიღება კომპანიებისგან. ამ შემთხვევაში, შპს „ფერისთან“ და მასთან დაკავშირებულ კომპანიებთან ასოცირებული პირები გახდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ შემწირველები: ზურაბ ალავიძე, სს „დარიალი ენერჯის“ დირექტორი - 2012 წლის 30 ივლისი, 35 ათასი ლარი; ლაშა იორდანიშვილი, სს „დარიალი ენერჯის“ ყოფილი დირექტორი, შპს „ყაზბეგი ჰესის“ თანამფლობელი - 2012 წლის 10 ივლისი, 40 ათასი ლარი; ამავე დღეს იოსებ მჭედლიშვილი (შპს „ფერის“ 96%-იანი წილის მფლობელი) - 2012 წლის 10 ივლისი, - 60 ათასი ლარი.

[22] პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები, სივილ ჯორჯია, თბილისი, 21.06.12, www.civil.ge; პოლ რიმპლი, 2013, “ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო.

კანონის შერჩევითი აღსრულება მთავრობის უცვლელი ფავორიტებისთვის

ჩვენს მიერ შერჩეული კომპანიები (შპს „ფერი“ და მისი შვილობილი კომპანიები, RMG) საქმიანობენ ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიის და/ან მშენებლობის ნებართვის საფუძველზე[23]. როგორც წესი, სანებართვო ან სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი/კონტროლი საერთოდ არ მიმდინარეობს, ან მიმდინარეობს დიდი ხარვეზებით. მაგალითად, მდინარე თერგზე 19 მვტ სიმძლავრის „ლარსი ჰესის“ პროექტთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის სამინისტრომ შპს „ენერგია“-ზე გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა (N28, 21.11.2011). დასკვნის პირობები მოიცავდა არაერთ ვალდებულებას, რომლებიც გულისხმობდა: წელიწადში ერთხელ გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და კვარტალში ერთხელ თვითმონიტორინგის ჩატარებას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას/გაუვნებლებას, მშენებლობის დაწყებამდე დეტალური ბოტანიკური კვლევის ჩატარებას, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებას, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის აღებიდან 3 თვის ვადაში გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შემუშავებას, რომელსაც უნდა მოეცვა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის დაზიანებული ჰაბიტატების ექვივალენტური ჰაბიტატების აღდგენა, მცენარეების საკონსერვაციო ცენტრებში გადატანა და ა.შ.

როგორც აღმოჩნდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ ფლობდა არანაირ ინფორმაციას, რამდენად სრულდებოდა ეს პირობები, ვინაიდან, „საქმიანობის განმახორციელებელს N28 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებით არ აქვს დადგენილი დამატებითი ანგარიშების სამინისტროში წარმოდგენის ვალდებულება“[24]. ეს გარემოება კიდევ უფრო სამწუხაროა იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ გზშ ანგარიშებში მეორდება ხოლმე ზუსტად ის წინადადებები, რომლებითაც დადგენილია ლარსი ჰესის ვალდებულებები (მათ შორის, ყველაზე მასშტაბურ - „ხუდონჰესის“ პროექტში). როგორც ჩანს, საქმიანობის განმახორციელებლები იმის იმედად იმყოფებოდნენ, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ტრადიციულად არ შეამოწმებდა სანებართვო პირობების შესრულების მდგომარეობას.

არანაირი სანქციები არ დაკისრებია „მადნეულს“ საპრივატიზაციო ხელშეკრულებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების 11 თვით დაგვიანებისათვის. მოგვიანებით, საკუთარი უმოქმედობის გადასაფარად, სამინისტრომ ე.წ. გარემოდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომპანიასთან გააფორმა „მემორანდუმი“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სახელმწიფო უწყება მემორანდუმით გაწერილი ქმედებების შესრულებას არ აქცევდა ყურადღებას, ვინაიდან, სამინისტროსვე წერილობითი განმარტების მიხედვით (წერილი N06-13/265, 15.04.2008), „მემორანდუმი არ წარმოადგენს იურიდიულ ხელშემკვრელ დოკუმენტს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და მეორეს მხრივ „კვარციტსა“ და „მადნეულთან“ დაიდო ხელშეკრულება**,** რომლის თანახმადაც 13 მილიონი ლარის გადახდის სანაცვლოდ კომპანიას ეპატია 18

[23] საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მასზე არ გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე საფეხუზე გარემოს დაცვის სამინისტრო ატარებს პროექტის სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და გასცემს შესაბამის დასკვნას, რომელსაც ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო (პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტი). ეკოლოგიური ექსპეტიზის დასკვნის პირობები წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებსაც.

[24] სამინისტროს წერილი N286507.11.13

წლის განმავლობაში ჩადენილი დარღვევები. შეთანხმების პირობად განისაზღვრა გარკვეული ღონისძიებების გატარების ვალდებულების დაკისრება კომპანიისათვის. თუმცა, ეს ვალდებულებები სრულიად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეთანხმება სანქციას არ ითვალისწინებდა. მოგვიანებით მწვანე ალტერნატივამ გაარკვია[25], რომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (რომელიც ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა) საერთოდ არ გააჩნდა ინფორმაცია შეთანხმებით გათვალისწინებული გეგმის შესრულების თაობაზე და არც რაიმე ზომები ჰქონდა მიღებული ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად. სიტუაცია არ შეცვლილა 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (რომლის კომპეტენციის ქვეშ მოექცა საკითხი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად) ინფორმაციით, სამინისტროს არ გააჩნდა ინფორმაცია შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე[26].

შერჩევითი კანონაღსრულების კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი აშკარა და უხეში დარღვევები. კერძოდ, არც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, არც გარემოს დაცვის სამინისტრომ და არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა არ მოახდინეს რაიმე სახის რეაგირება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ყაზბეგის რაიონში ჰესების მშენებლობა დაიწყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის დასრულებამდე და შესაბამისი ნებართვების გაცემამდე, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მწვანე ალტერნატივამ მასალები მიაწოდა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარემ გია ცაგარეიშვილმა მიიჩნია, რომ იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და საკითხი რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს პროკურატურას. 2012 წლის ნოემბერში (და შემდგომ დეკემბერში - დამატებითი გარემოებებით) მწვანე ალტერნატივამაც მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოითხოვა, რომ პროკურატურას შეესწავლა დარიალის ჰესის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული კანონდარღვევები. საჩივარს, პროკურატურის მხრიდან მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის ხანგრძლივი დაკითხვის გარდა, ამ დრომდე[27] არაფერი მოჰყოლია. ასევე, რეაგირების გარეშე დატოვა გარემოსა და ბუნებრივი რესუსების დაცვის სამინისტრომ ის ფაქტი, რომ RMG Gold-მა (ყოფილი შპს კვარციტი) გამოსატუტი მოედნების მშენებლობისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად გზშ ანგარიში მას შემდეგ შეიტანა, რაც კომპანიას უკვე აშენებული ჰქონდა ეს მოედნები. ასეთი ტიპის დანაშაულებმა და სახელმწიფო მაკონტროლებელი ინსტიტუტების მხრიდან მათზე თვალის დახუჭვამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

[25] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ხმალაძის 2012 წლის 6 დეკემბრის პასუხი მწვანე ალტერნატივას, რომლითაც ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას სს „მადნეულთან“ და შპს “კვარციტთან“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში 2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე შეთანხმებული მოქმედებათა გეგმის შესრულების თაობაზე (გეგმით გათვალისწინებული ქმედებების უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებული უნდა ყოფილიყო).

[26] ნ. გუჯარაიძე, 2013. მადნეული კანონზე მაღლა, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 28 გვ.

[27] 2015 წლის 3 მარტის მდგომარეობით

სასამართლო პრაქტიკა

მწვანე ალტერნატივამ, ბოლო წლების განმავლობაში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების გამო, სასამართლოს სარჩელით და/ან ადმინისტრაციული საჩივრით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს არაერთხელ მიმართა. სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლო და ადმინისტრაციული დავების წამოწყება მოუხდა მწვანე ალტერნატივას ბოლნისის ფერადი მეტალების საბადოს, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველებზე ნადირობისა და ყაზბეგის რაიონში ჰესების მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები იმეორებდნენ მთავრობის წარმომადგენელთა შესაგებლებში მოყვანილ მტკიცებებს და პრაქტიკულად დაუსაბუთებლად იღებდნენ გადაწყვეტილებას მწვანე ალტერნატივას სარჩელების დაუკმაყოფილებლობის შესახებ. მწვანე ალტერნატივას პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევაც, როდესაც სასამართლო დავისას ორგანიზაციამ წარადგინა საქართველოს სახალხო დამცველის დასკვნა[28], მაგრამ სასამართლომ განაჩენის გამოტანისას არათუ მხედველობაში არ მიიღო სახალხო დამცველის დასკვნა, არამედ, არც კი იმსჯელა მასზე. სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით სერიოზული დაეჭვების საბაბს იძლევა ის გარემოება, რომ მთავრობის არაერთი გადაწყვეტილება, რომელთა ბათილობასაც ითხოვდა მწვანე ალტერნატივა, გაუქმდა ან შეიცვალა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდომ პერიოდში, თავად მთავრობისა და/ან პარლამენტის ინიციატივით. გამონაკლისი, ამ მხრივ, მხოლოდ ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო დავები იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ენერგეტიკის სამინისტროში, საკადრო თვალსაზრისით, არჩევნების შედეგად პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა.

გასულ წლებში, მწვანე ალტერნატივას სასამართლო პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას, სარჩელების დასაშვებობის ეტაპზე მოპასუხეებმა დააყენეს შუამდგომლობა მწვანე ალტერნატივას არასათანადო მოსარჩელედ ცნობის შესახებ იმ საბაბით, რომ ორგანიზაციას არ ადგებოდა უშუალო და პირდაპირი ზიანი. თუმცა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მწვანე ალტერნატივას მიერ ორჰუსის კონვენციის შესაბამის მუხლებზე აპელირების შემდეგ, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს და ან სასამართლოს გაეთვალისწინებინოს ეს მოთხოვნა და დაუშვებლად ეცნო საჩივარი/სარჩელი. ამ მხრივ ვითარება გაუარესდა 2013 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი ჰქონდა შეტანილი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, რომლითაც ითხოვდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის იმ ბრძანების გაუქმებას, რომლითაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს. 2013 წლის 3 ოქტომბრის განკარგულებით საქართველოს მთავრობამ მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. უარის თქმის შესახებ განმარტებაში აღნიშნულია, რომ მწვანე ალტერნატივა წარმოადგენს არასათანდო მომჩივანს, ვიდაიდან დავა ეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას, ხოლო ორჰუსის „კონვენციის მიხედვით, პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები“[29]. პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლებმა ეს ტრადიცია სხვა სასამართლო განხილვის დროსაც გააგრძელეს - ითხოვდნენ მწვანე ალტერნატივას არასათანადო მოსარჩელედ ცნობას და სარჩელის განუხილავად დატოვებას საქმეზე, როდესაც მწვანე ალტერნატივა ითხოვდა

[28] „მწვანე ალტერნატივას“ განცხადების საფუძველზე, სახალხო დამცველმა შეისწავლა ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემის კანონიერების საკითხი, სამართლიანად მიიჩნია „მწვანე ალტერნატივას“ მოთხოვნები და დაასკვნა, რომ განხილულ შემთხვევებში საზოგადოებრივი ინტერესი უპირატესი იყო კერძო პირის ინტერესთან შედარებით და რომ სადავო აქტები უნდა ყოფილიყო ბათილად ცნობილი.

[29] www.greenalt.org სასამართლო დავები: მწვანე ალტერნატივასა და ირინა ღამბაშიძის ადმინისტრაციული საჩივარი საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით.

ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებული მთავრობის დადგენილების[30] ბათილად ცნობას[31]. ეს საკითხი კიდევ უფრო სამწუხაროა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ყოფილი თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - საია-ს გამგეობის ყოფილი წევრი - თამარ კორძაია (რომელიც მწვანე ალტერნატივას ინტერესებს წარმოადგენდა არაერთ სასამართლოზე), ხოლო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პოსტი კი „ორჰუსის ცენტრის“ ყოფილ ხელმძღვანელს - ხათუნა გოგალაძეს ეკავა.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი პრობლემაა სასამართლო საქმეების ძალზე დიდი ხნით გაჭიანურება, ხშირ შემთხვევაში, აუხსნელი მიზეზების გამო. მწვანე ალტერნატივას ანგარიშებში აღწერილია შემთხვევები, როდესაც ხე-ტყის ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული პროცესები 2 წელსაც გაგრძელებულა. ამჟამად, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში აქვს მიღებული მწვანე ალტერნატივას სარჩელი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N 2247 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლითაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სს „დარიალი ენერჯის“, დარიალის ჰესის მშენებლობის ნებართვის აღებამდე, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილი გამოეყო. წარმოებაში საქმე სასამართლომ 2013 წლის დასაწყისში მიიღო, თუმცა დღემდე[32] არსებითი განხილვაც კი არ დაწყებულა.

„მბრუნავი კარი“ და „ჩვენი ბიჭების ქსელი“

„მბრუნავი კარი“, ანუ ადამიანების მოძრაობა საჯარო და კერძო სექტორების თანამდებობებს შორის, 2011 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ ევროკავშირის 26 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის თანახმად, რეგიონში კორუფციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა[33].

კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც გამოიყენება შესაბამის კვლევებში კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორის, თუ კორუფციის ერთ-ერთი სახის აღსაწერად, არის ე.წ. „ჩვენი ბიჭების ქსელი“ (the old-boy network)[34], ტერმინი გულისხმობს არაფორმალურ ექსკლუზიურ ქსელს, რომელიც აკავშირებს სოციალური კლასის, პროფესიის ან ორგანიზაციის წევრებს, რათა უზრუნველყოს კავშირის, ინფორმაციისა და კეთილგანწყობის/გავლენის გავრცელება. ეს ტერმინი ალბათ ყველაზე მეტად შეესაბამება საქართველოს რეალობას და მისი მოქალაქეების მენტალიტეტს; თუმცა სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ამგვარი „ქსელი“ პრობლემას წარმოადგენს ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ხშირად წესიერებისა და კეთილდღეობის ნიმუშად წარმოაგვიდგენია: იაპონია, ფინეთი, შვეიცარია, აშშ და სხვ. „ჩვენი ბიჭების ქსელი“ განიხილება, როგორც ელიტის მიერ ბიზნესის წარმოების გზა. როგორც წესი, ასეთი ქსელის წევრები გაწეული სამსახურებისთვის ფულს არ უხდიან ერთმანეთს. ქსელები მტკიცე პირადი და არაფორმალური კავშირების საფუძველზე არსებობენ. ამ მექანიზმების უმეტესობა ეთიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონმდებლობა არ ირღვევა[35].

---

[30] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილება

[31] მწვანე ალტერნატივას ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ არ დააკმაყოფილა მთავრობის მოთხოვნა

[32] 2015 წლის 3 მარტის მდგომარეობით

[33] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2013. „ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში“, www.transparency.ge

[34] U. Schaede, 1995, The “Old Boy” Network and Government Business Relationships in Japan, Journal of Japanese Studies, Sociey for Japaniese Studies

[35] Finland afflicted with old-boy networks, European Commission views, 4 Feb, 2014; Old snakes in the garden, 26 Jul, 2012; Old boy networks have a strong foothold in Finnish municipalities, a study suggests, 16 Jul, 2012; Old boy networks a Finnish problem, says corruption organisation 26 Apr, 2012 http://www.helsinkitimes.fi/

მწვანე ალტერნატივას სამივე კვლევაში გვხვდება „მბრუნავი კარის“ მოვლენა. სამთამადნო ბიზნესის კომპანია „მადნეულის“/“კვარციტისა“ და დეპუტატ კობა ნაყოფიას „საქმიანი ურთიერთობა“ დაწვრილებითაა აღწერილი არაერთ ანგარიშში[36]. მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა, ნაყოფიამ, თითქოს, ოფიციალურად გაწყვიტა ურთიერთობა კომპანიასთან; მაგრამ ამის საპირისპიროზე მეტყველებს მედიაში გავრცელებული არაერთი მისი განცხადება, თუ სხვა ინფორმაცია, თუნდაც 2008 წლის აგვისტოს ომის თემაზე გადაღებული ფილმის სპონსორობასთან დაკავშირებით; ასევე, ის ფაქტიც, რომ კობა ნაყოფიას შვილი 22 წლის ასაკში შპს „კვარციტში“ იკავებდა გენერალური დირექტორის კონსულტანტის თანამდებობას და წლის განმავლობაში 5 მილიონ ლარზე მეტს იღებდა ხელფასის სახით. დღესდღეობითაც, RMG-ში მაღალი თანამდებობები უკავიათ იმ პიროვნებებს, რომლებიც საჯარო სამსახურში მუშაობისას პასუხისმგებელი იყვნენ ამ კომპანისათვის ლიცენზიების მინიჭებასა და მისი პირობების შესრულების კონტროლზე[37]. მაგალითად, კომპანიაში წამყვან თანამდებობებს იკავებდნენ ზურაბ ქუთელია (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, სამინისტროსთან არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების უწყებათშორისო ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე 2004 წლამდე) და სოლომონ ცაბაძე (2003 წლამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გარემოსდაცვითი ნებართვებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი). მათ გარდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კიდევ არაერთი ყოფილი თანამშრომელი სხვადასხვა თანამდებობას იკავებს ამ კომპანიაში.

შპს „დარიალი ენერჯის“ დირექტორს ზურაბ ალავიძეს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. სწორედ ეს სამინისტროა საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის ნებართვის გაცემასა და მათი პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება.

სახელმწიფო უწყებებში მაღალი თანამდებობები ეკავათ „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ნადირობისათვის შექმნილი კომპანიასთან დაკავშირებულ პირებს საბა კიკნაძეს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე) და დათუნა რაქვიაშვილს (რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე, შემდგომ - ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის მოადგილე - დესპანი).

„მბრუნავი კარი“ ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ ბიზნესსა და სახელმწიფო უწყებებში არც წარსულში ყოფილა უცხო მოვლენა და არც ამჟამად არის. მათ შორის, აღსანიშნავია: ზვიად ჭეიშვილის „მოძრაობა“ ხე-ტყის ბიზნესით დაკავებულ უმსხვილეს კომპანიასა და ამავე სფეროს მარეგულირებელ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს შორის (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი, სატყეო დეპარტამენტის უფროსი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე)[38]; დავით ჩანტლაძის (ყოფილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე) მიერ ეკონომიკის მინისტრის ყოფილ მოადგილესთან კახა დამენიასთან ერთად დაარსებული საკონსულტაციო კომპანია „გუთიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენსი[39]“, რომელიც საკმაოდ დიდი ღირებულების სახელმწიფო კონტრაქტების შედეგად მეტად საეჭვო შინაარსის დოკუმენტებს შეიმუშავდებდა ხოლმე (მაგალითად: თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ

[36] იხ. პუბლიკაციები: www.greenalt.org; www.transparency.ge და სხვ.

[37] „კვარციტისა“ და „მადნეულის“ სამართალმემკვიდრენი არიან RMG Gold და RMG Cooper, შესაბამისად

[38] ი. მაჭარაშვილი, 2012, ტყის დაცვა და მართვა საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 58 გვ. ; საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2013, ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში, მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში, თბილისი, 52 გვ.

[39] http://www.solutions.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი; ახალი ტყის კოდექსი).

აღსანიშნავია, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მიხედვით, „განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე განთავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან საქმიანობას ეწეოდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე არ აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი". აქ განხილული შემთხვევები კი კანონმდებლობის ამ ნაწილის უგულებელყოფის ნათელ მაგალითებს წარმოადგენენ.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ენერგეტიკული კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ერთი და იგივე პირების გადაადგილება. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე (2011-2012 წლებში) გიორგი ყაველაშვილი შპს „კალა კაპიტალისა და შპს „არსენალ დეველოპმენტის" ფინანსური დირექტორი იყო (კახა კალაძის კომპანიები). ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თანამდებობაზე კახა კალაძის დანიშვნის შემდეგ, გიორგი ყაველაშვილმა მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა. სამაგიეროდ, კახა კალაძის მინისტრობისას მინისტრის მოადგილის თანამდებობა შეინარჩუნა მარიამ ვალიშვილმა, რომელიც ასევე მუშაობდა კალაძესთან დაკავშირებულ კომპანიებში. ის იყო შპს „Kala energy and natural resourses" ენერგეტიკული ჯგუფის ხელმძღვანელი და სს „საქჰიდრომშენის" გენერალური დირექტორი. რაც ყველაზე საინტერესოა, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემების მიხედვით, მარიამ ვალიშვილი 2008-დან 2012 წლამდე მინისტრის მოადგილეობის პარალელურად, ითავსებდა შპს „TOT ენერჯის" დირექტორის თანამდებობას (კომპანია, რომელშიც ასევე ქონდა წილი კახა კალაძეს)[40]. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კახა კალაძემ მოადგილედ კიდევ ერთი თავისი საქმიანი პარტნიორი დანიშნა - გია ქავთარაძე. თუმცა ის, მარიამ ვალიშვილისგან განსხვავებით, მალევე გადადგა სოციალურ ქსელებში და მედიაში არასამთავრობო ორგანიზაციების (მწვანე ალტერნატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო) მიერ ინტერესთა კონფლიქტში დადანაშაულების საპასუხოდ.

თავად მინისტრ კახა კალაძეს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად დანიშვნამდე, კავშირი ქონდა სხვადასხვა ენერგეტიკულ კომპანიასთან. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევაშია აღნიშნული, „მართალია ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კალაძემ ფორმალურად დათმო საკუთარი წილები ამ კომპანიებში, მაგრამ შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ ის არაპირდაპირ კერძო ინტერესებს ინარჩუნებდეს ამ სექტორში (რადგან ქართველ თანამდებობის პირებს არ მოეთხოვებათ კომპანიების ბენეფიციარული საკუთრების დეკლარირება)[41]".

მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძემ არაერთხელ განაცხადა საკუთარი ბიზნეს ინტერესების დათმობის შესახებ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემებით, „საქჰიდრომშენის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მისი მამა, კარლო კალაძეა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წარმომადგენლის, ერეკლე ურუშაძის განმარტებით, კალაძის ცალსახად კორუფციაში დადანაშაულება არ შეიძლება, ვინაიდან ამას პროკურატურის ჩარევა, გამოძიება და სასამართლოს გადაწყვეტილება სჭირდება. თუმცა, ის ხაზს უსვამს, რომ არსებობს მინიმუმ ინტერესთა კონფლიქტისა და მაქსიმუმ კორუფციის რისკი. მიუთითებს რა საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზებზე, ის იხსენებს ისეთ ტერმინს, როგორიცაა „ლეგალიზებული კორუფცია", როდესაც გარკვეული

[40] იხ. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი https://enreg.reestri.gov.ge

[41] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2013, ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში, მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში, თბილისი, 52 გვ. http://transparency.ge

ქმედება თავისი არსით კორუფციულია, მაგრამ იმის გამო, რომ თვითონ კანონმდებლობაა ხარვეზიანი, კანონი არ ირღვევა[42].

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი - ნიკა გილაურმა, რომელსაც წლების განმავლობაში უმაღლესი თანამდებობები ეკავა (ენერგეტიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი), სახელმწიფო თანამდებობის დატოვების შემდეგ მოკლე ხანში (2012 წლის 3 ოქტომბერს) დააფუძნა შპს „გილაური და კომპანია“, რომლის დირექტორიც და ერთადერთი პარტნიორიც თავადვე იყო. ამ კომპანიამ, თავის მხრივ, დააფუძნა შპს „კავკასიის ენერგო კომპანია“, რომელმაც საქართველოს მთავრობასთან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რამდენიმე ჰესის მშენებლობაზე დადო მემორანდუმები (მდინარეებზე ადიშჭალა, დოლრა, ტვიბერ-წანერი, ტეხური, მულხურა, ჯეჯორა). თუმცა, მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნებში ნიკა გილაურისთვის არასასურველმა პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა, მემორანდუმი გაუქმდა მხარეთა შეთანხმებით, კომპანიის მიმართვის საფუძველზე. „სიტუაციის დალაგების შემდეგ“, ისევ „გამოჩნდა“ ინვესტორი, რომლებმაც ამავე ჰესების აშენების სურვილი გამოთქვა და მთავრობასთან შესაბამისი მემორადმუმებიც გააფორმა. ამ შემთხვევაში, ენერგეტიკის სამინისტრო ფაქტიურად იგივე ჰესების აშენებაზე (7 ჰესი: დოლრა 1, დოლრა 2; მესტიაჭალა 2, მულახი, ადიშჭალა, ჯეჯორა, სომიწო) საქართველოს ბანკთან შეთანხმდა, რომელსაც ნიკა გილაურის ძმა - ირაკლი გილაური ხელმძღვანელობს.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პროექტების შემსრულებლებსა და მხარდამჭერებში/ლობისტებში (მაგალითად - ოქროს მოპოვება ბოლნისის რაიონში და მცირე ჰესის მშენებლობა ყაზბეგის რაიონში) - ერთი და იგივე პიროვნებები ფიგურირებდნენ. ამასთანავე, „ჩვენი ბიჭების ქსელის“ ფენომენმა, რომელიც როგორც წესი, არაფორმალურ კავშირებს გულისხმობს, საქართველოში, გარკვეულ შემთხვევებში, სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმებიც კი შეიძინა. სხვადასხვა ინვესტორმა კომპანიებმა და მათთან დაკავშირებულმა ექსპერტებმა აქტიურად დაიწყეს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ეს პროცესი განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ჯერ კიდევ მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სამოქალაქო სექტორში აპირებდა გადასვლას და მის გაძლიერებაზე იზრუნებდა.

ომარ ქუნცაშვილი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის - დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის მამაა. ის მედიაში ხშირად ჩნდება, „ექსპერტის“ სტატუსით, აქტიურად მონაწილეობდა „დარიალჰესისა“ და „ლარსიჰესის“ პროექტების ლობირებაში, ასევე ბუნების ძეგლის - ხდის ხეობის ტერიტორიაზე „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობის დაწყების ლობირებაში. ომარ ქუცნაშვილმა, ასევე, თავი დაგვამახსოვრა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მოსხნაში შეტანილი წვლილითაც. იგი იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი, რომელსაც ევალებოდა ამ ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. მწვანე ალტერნატივას კვლევის თანახმად[43], ამ კომისიაში შედიოდა კომპანია RMG-ის კონტრაქტორი კომპანიების და მაშასადამე, პროცესში დაინტერესებული მხარის, სულ მცირე, ორი წარმომადგენელი: 1. ომარ ქუცნაშვილი, შპს „ჯეოინჟინირინგის“ 36% წილის მფლობელი. ამ შპს-ს ლიცენზიის მფლობელის - RMG-ის დაკვეთით ჩატარებული აქვს სამთო-გეოლეოგიური კველევები საყდრისის ტერიტორიაზე; ასევე მონაწილეობდა სადრისის უბნისათვის გამოსატუტი მოედნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაში, 2014 წელს. 2. ვახტანგ ლიჩელი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისათვის RMG Gold-ის გენერალური დირექტორის მიერ 2013 წლის 27 მაისის გაგზავნილი წერილის (#341), თანახმად, კომპანიის დაკვეთით საყდრისის ტერიტორიაზე

[42] ერეკლე ურუშაძე: „აუცილებელია ანტიკორუფციული ცენტრის ამოქმედება“, ჟურნალი „ლიბერალი“, 21.02.2014
[43] ნ. გუჯარაიძე, 2012, მადნეული კანონზე მაღლა, „მწვანე ალტერნატივა“, www.greenalt.org

ასრულებდა არქეოლოგიურ კვლევას[44]. ძეგლის სტატუსის მოხსნისათვის კომისია სრულად დაეყრდნო კომისიის წევრების, ა. თვალჭრელიძისა და ო. ქუცნაშვილის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომელიც თავის მხრივ, ძეგლთან მიმართებაში განხილულ ყველა საკითხში ეყრდნობა იგივე ა. თვალჭრელიძის სხვადასხვა დროის გამოცემებს და მოსაზრებებს, რაც დაკვნის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა[45]. ომარ ქუცნაშვილის შპს „ჯეოინჟინირინგი“ ასევე დაქირავებული ყავდა შპს „ფერის“, რომელიც ყაზბეგის რაიონში ახორციელებს „დარიალჰესის“, „ლარსიჰესის“ და „ყაზბეგი ჰესის“ პროექტებს. ჟურნალისტური გამოძიებების თანახმად (სტუდია „მონიტორი“, რუსთავი 2-ის გადაცემა „განსხვავებული აქცენტები[46]“) ინტერესთა კონფლიქტი ქონდათ (გარკვეული ვალდებულებეი ქონდათ RMG-თან) თერთმეტკაციანი კომისიის სხვა წარმომადგენლებსაც: დავით ლომიტაშვილს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს, გურამ ყიფიანს, გურამ გრიგოლიას.

ომარ ქუცნაშვილი, ასევე, 2013 წლის 23 მაისს დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ენერგეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაციის“ დამფუძნებელია. მის გარდა ამ არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებლებში გვდებიან ხუდონჰესის პროექტის ინვესტორი კომპანიის „ტრანს ელექტრიკას“ დირექტორი პაატა წერეთელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის დეკანი გია არაბიძე, „თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ვარლამ ფანცულაია, შპს „ენგურჰესის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ფინანსური დირექტორი ვალერიან კანკია, სს „დარიალჰესის“ დირექტორი ზურაბ ალავიძე, საქართველოს მცირე ბიზნესში დასაქმებულ მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი თავმჯდომარე რევო მშვიდობაძე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „საქართველოს ენერგოსისტემის“ ყოფილი თანამშრომელი ენვერ ჩიჩუა, „საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაციის“ თანადამფუძნებელი, თელასის თანამშრომელი, „ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაციის“ დამფუძნებელი ნიკოლოზ ჯავშანაშვილი[47] და შპს „ენერგიას“ დირექტორი გაიოზ უგრელიძე. დამფუძნებელ კრებაზე ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს ომარ ქუცნაშვილი ხოლო აღმასრულებელ დირექტორად - გურამ ნიკოლაშვილი. ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები გახდნენ: ომარ ქუცნაშვილი, გურამ ნიკოლაშვილი, გია არაბიძე, ლაშა იორდანიშვილი („ფერი“), ბაადურ უკლება (ჰიდროლოგი, ჰესებთან დაკავშირებული მრავალი გზშ-ს ავტორი), ვოლკან ბირინჩი, სერგეი კობცევი (თელასის გენერალური დირექტორი). აღსანიშნავია, რომ კობცევი, რომელმაც ამ თანამდებობაზე დევი კანდელაკი შეცვალა, მანამდე "სანგტუდინსკაია ჰესი-1"-ის (ტაჯიკეთი) გენერალური დირექტორი იყო. "თელასის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, დევი კანდელაკმა კი, "ინტერ რაო ეეს"-ში - შპს "მტკვარი ენერგეტიკის", სს "ხრამჰესი 1"-ს და "ხრამჰესი-2" -ს გენერალური დირექტორის თანამდებობა დაიკავა. შპს „თელასი“, ისევე როგორც შპს "მტკვარი ენერგეტიკა", "ხრამჰესი 1" და "ხრამჰესი-2" რუსული ენერგეტიკული კომპანია „ინტრერ რაოს“-ს საკუთრებაა[48].

მოგვიანებით ასოციაციის წევრები გახდნენ სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები: სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (100% სახელმწიფო წილი), სს „ხრამჰესი

---

[44] კომისიაში შედიოდნენ: ალექსანდრე თვალჭრელიძე, ომარ ქუცნაშვილი, დავით ლომიტაშვილი, ვახტანგ ლიჩელი, გურამ მირცხულავა, ბესიკ მაცაბერიძე, თემურ ჩიხრაძე, ლალი ახალაია, პაატა გაფრინდაშვილი, გურამ ყიფიანი, გურამ გრიგოლია.

[45] იხ. ნ. გუჯარაიძე, 2013. მადნეული კანონზე მაღლა, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 28 გვ.

[46] „განსხვავებული აქცენტები“, რუსთავი 2, 27.02.2015.

[47] ნიკოლოზ ჯავშანაშვილთან ერთად საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაციის დამფუძნებლები და თანაშრომლები არიან სხვადასხვა ენერგეტიკულ პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციების (კომპანია „დელოიტი“, ფონდში „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“, ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების ხელშეწყობის პროგრამაში (HIPP). წევრები - იხ. http://www.aypeg.ge/about-us/our-team/

[48] https://www.interrao.ru/

2“, სს „ხრამჰესი 1“, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“, შპს „ენგურჰესი“, სს „დარიალი ენერჯი“, შპს „ენერგია“, შპს „ყაზბეგი ჰესი“, ააიპ „ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაცია“. „ენერგეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაციის“ წესდების თანახმად, მისი შემოსავლის წყარო შესაძლოა იყოს საწევრო შენატანები, ფინანსური შემოწირულობები, საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტები და სხვა კანონმდებლობით დადგენილი სახის შემოსავლები. ასოციაციის დამფუძნებლები და წევრები (მათ შორის ზემოხსენებული საქართველოს სახელმწიფო და რუსული კომპანიები, უფლებამოსილი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, გარდა საწევრო შენატანისა, შეიტანონ ასოციაციაში შემოწირულობები.

ძნელი სათქმელია, რამდენად კანონიერია, რომ არაკომერციული არამომგებიანი იურიდიული პირის - არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არიან სახელმწიფო შპს და სახელმწიფო სააქციო საზოგადოება, ან რამდენად სამართლიანი ის კანონი, რომელიც ამას უშვებს. თუმცა, ეთიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ კომერციული ორგანიზაცია, პირდაპირ არის დაინტერესებული იმ არასამთავრობო ორგანიზაციების კეთილდღეობით, რომელიც მის ბიზნესს ლობირებს. ეს მთლიანად საზოგადოებრივი სექტორის დისკრედიტაციას იწვევს. მით უფრო, რომ ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა ენერგეტიკული პროექტების ლობირებისას ხშირად ილაშქრებენ ხოლმე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წინააღმდეგ და შეურაცხყოფის მიყენებას ცდილობენ (მაგ. ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, „რატომ გვჭირდება ჰიდროენერგეტიკის განვითარება“ www.for.ge: „გარემოს დამცველ ორგანიზაციებს ძალიან კარგად მოეხსენებათ, თუმცა იმის მაგივრად, რომ ქვეყნის განვითარებას და წინსვლას უწყობდნენ ხელს, თავიანთი ქმედებებით ხელს უშლიან და აფერხებენ ქვეყნის განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროცესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ და კარგადაც გამოსდით ადგილობრივი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და ჰეს-ის მშენებლობის პროექტის მიმართ უარყოფითად განწყობა....“[49]; ომარ ქუცნაშვილი: „ბოლო 25 წლის ისტორიას თუ გავიხსენებთ, ადვილად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების არაკეთილმოსურნენი კვლავ აამუშავებენ ე.წ. გარემოსდამცველ „მწვანეებს“ ენერგეტიკის და სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის წინააღმდეგ, უხვად დაასაჩუქრებენ გრანტებით...“[50]). სულ ცოტა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ „ექსპერტები“, რომლებიც გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შეურაცხყოფისა და კომერციული პროექტების გასამართლებლად, რუსეთისაგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების არგუმენტის გამოყენებას ცდილობენ, რუსული სახელმწიფო ენეგოკომპანიის დაფინანსებას არ უკადრისობენ.

ომარ ქუცნაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ყაზბეგის რაიონში კომპანია „ფერის“ მიერ ჰესების მშენებლობის ლობირებაში. ამ კამპანიის ფარგლებში 2012 წლის 30 აგვისტოს ის ყაზბეგის რაიონს ესტუმრა და გამგეობის შენობაში გამართა შეხვედრა. გამგეობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რაიონს „საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტი და მეცნიერთა სპეციალური ჯგუფი ეწვია“. კერძოდ, ესენი იყვნენ ომარ ქუცნაშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, დავით არევაძე და სხვები, რომელთა ტრანსპორტირებასაც კომპანია „ფერის“ ხელმძღვანელი ლაშა იორდანიშვილი უზრუნველყოდა. გამგეობის ვებ-გვერდზე არ იყო ინფორმაცია, რომ ეს „საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტი“ ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციაა. იგი 2013 წლის 14 ივნისს დარეგისტირდა ომარ ქუცნაშვილის შპს „ჯეოინჟინიგირენგის“ ოფისში (თბილისი, თამარაშვილის 15ა). წესდების თამახმად, ინსტიტუტი უფლებამოსილია შექმნას ფილიალები, სამუშაო ჯგუფები და კომისიები, რომელთა წევრები შეიძლება იყვნენ „საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის“ წევრები და მოწვეული პირები“. ეს უკანასკნელიც - „აკადემია“ - ასევე, ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წლის 8 თებერვალს დარეგისტირდა. მის ხელმძღვანელობას წარმოადგენენ პაატა კერვალიშვილი, გამგეობის წევრი; აკადემიის პრეზიდენტი, დავით ალადაშვილი, გამგეობის წევრი;

[49] რატომ გვჭირდება ჰიდროენერგეტიკის განვითარება, 2013-09-26, www.for.ge

[50] ბროშურიდან: ტარიელ ხარხელაური, ომარ ქუცნაშვილი, 2013 „“რანი ვართ... საით უნდა წავიდეთ. ანუ საქართველოს განვითარების სტრატეგიის შესახებ“. ბროშურა ვრცელლდება უფასოდ. დარიგდა ყაზბეგის რაიონის მუნიციპაალიტეტში გამართულ შეხვედაზე.

აკადემიკოს მდივანი, მანანა ხაჩიძე, გამგეობის წევრი; აკადემიკოს მდივანის მოადგილე. აკადემიის ოფისად განისაზღვრა პაატა კერვალიშვილის საცხოვრებელი ფართი, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ფანასკერტელის ქ., კორპ. №6, ბინა №30. საინტერესოა, რომ ზემოხსენებული „საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტისა“ და „საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის“ ხელმძღვანელობასაც ერთი წრე შეადგენს. კერძოდ, „ინსტიტუტის“ დამფუძნებლები არიან „აკადემიის“ გამგეობის წევრი მანანა ხაჩიძე და „აკადემიის“ პრეზიდენტის შვილი გიორგი კერვალიშვილი, ასევე რომან გოცირიძე, დავით არევაძე და ომარ ქუცნაშვილი, რომელიც ამავდროულად ამ „ინსტიტუტის“ დირექტორია.

„წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ნადირობის საკითხთან დაკავშირებულ პირებთან: დათუნა რაქვიაშვილთან, სოფიო მამარდაშვილთან, ნიკოლოზ ერქომაიშვილთან და საბა კიკნაძესთან ერთად შპს „სითიესის“ მეწილეები არიან ტარას ნიჟარაძე და რევაზ ადამია (კომპანია „არაგვი ენერგოს“ პარტნიორები)[51]. რევაზ ადამიამ, რომელიც პოლიტიკაში „მწვანეთა მოძრაობიდან“ მივიდა და მრავალი მაღალი თანამდებობა ეკავა (მათ შორის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში), კომპანია „ფერის“ ლობირებისათვის ასევე გარემოსდაცვით ორგანიზაციებზე თავდასხმის ტაქტიკა აირჩია: „კამპანიების აწევა რასაც ეხლა ადგილი აქვს, მე ვფიქრობ, ძირითადად უცოდინრობის ბრალია. იმის ბრალია, რომ არ უყურებენ კარგად იმ პირობებს და გარდა ამისა, იქ შეიძლება თავისი ინტერესიც ქონდეს ვიღაცას. იმიტომ, რომ არსებობს მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც წინააღმდეგი არიან დედამიწაზე ელექტორენერგიის საერთოდ და საერთოდ ყველანაირი პროგრესის და ფულიც აქვთ და შესაბამისად, აფინანსებენ კიდევაც ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უშლიან გაუმართავად და გაუგებრად უშლიან ხელს ქვეყნის წინსვლას“ (სტილი დაცულია, მე-9 არხის სიუჟეტი, რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე უარყოფითი ეკოლოგიური ექსპტიზის დასკვნის გაცემას)[52]. რევაზ ადამიას მამა, შოთა ადამია, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, აქტიურად მონაწილეობდა საყდრისის არქეოლოგიური ძეგლისათვის სტატუსის მოხსნის და ძეგლის არსის დისკრედიტაციის კამპანიაში[53]. მიუხედავად ამისა, რომ როგორც ჩანს, შოთა ადამია სტუდენტებს ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა საყდრისის მნიშვნელობის შესახებ, რაზეც მეტყველებს მისი ხელმძღვანელობით მომზადებული ნაშრომები.

„ბოლნისის მადნიანი რაიონი უძველესი დროიდან იპყრობდა სასარგებლო წიაღისეულის მაძიებელთა ყურადგებას. იგი წარმოადგენს საქართველოს უძველეს მეტალურგიულ ცენტრს, რაზეც მეტყველებს მეტალის სადნობი ღუმელების ნაშთები და ძველი წერილობითი წყაროები. ჩვ. წ.-მდე მე-3-2 ათასწლეულებში ეს რაიონი იყო რკინის მადნების მოპოვების და ოქროს ქვიშრობული საბადოების დამუშავების ერთ-ერთი ცენტრი. XII-XVII საუკუნეებში მუშავდებოდა დამბლუკდის ოქრო-პოლიმეტალური საბადო, სარკინეთის და დემურსუს რკინის მადანგამოვლინებები. ამავე დროს მადნეულის და საყდრისის და სხვა საბადოების მეორად კვარციტებში აღმოჩენილი ძველი გამონამუშავებრები და დამუშავების იარაღები მოწმობენ ოქროს მოპოვების მნიშვნელოვან მასშტაბებზე. მე-19 საუკუნის ბოლოს მე-20 საუკუნის დასაწყისში საკმაოდ დიდ მასშტაბებში მუშავდებოდა აგრეთვე თეთრი წყაროს ჯგუფის მარგანეცის მადნები საკმაოდ. ასევე უძველესი დროიდან წარმოებდა საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების სამშენებლო ქვების დამუშავება“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ზურაბაშვილი, ბოლნისის მადნიანი რაიონის „იმედის“ უბნის გეოლოგია, სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ხელმძღვანელი: პროფესორი შოთა ადამია. თბილისი 2013

[51]მდ. არაგვზე მშენებარე ჰესი, რომელსაც ასევე შპს „ფერი“ ახორციელებს - იხ. ქ. გუჯარაიძე, 2013,
[52]ახალი 9 | ჰესების ეკოლ.დილემა | 23.03.13 http://www.youtube.com/watch?v=D3O5N9j20XA
[53]რუსთავი 2-ის გადაცემა არჩევანი - საყდრისის ოქრო - 28.01.2014 http://www.youtube.com/watch?v=_WvP989iyiw

პრემიერ-მინისტრი კანონზე მაღლა

განხილული შემთხვევებისას წარმოაჩინდა, რომ ცალკეული პოლიტიკური პირები, მათ შორის ისინიც, ვინც წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ უსამართლობისათვის და სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგებით მოვიდნენ ხელისუფლებაში, „საჭიროების შემთხვევაში“ თავად აყენებდნენ თავს კანონზე მაღლა.

ასე მაგალითად, პრემიერ მინისტრობის დროს ბიძინა ივანიშვილი უხეშად ჩაერია სამართლებრივ პროცედურებში, როდესაც საქმე ეხებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოსათვის ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით „სამართლიანობის აღდგენას“. 2013 წლის 5 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ და არქეოლოგმა ირინა ღამბაშიძემ (არქეოლოგიური კვლევის ავტორი, რომლის საფუძველზეც 2006 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს ჯერ უძრავი ძეგლის, ხოლო მოგვიანებით ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა) ადმინისტრსციული წესით საქართველოს მთავრობაში გაასაჩივრეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა,. მინისტრის იგივე ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მთავრობის კანცელარიაში წარდგენილი იყო ასევე, დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის, რაულ გვეტაძის, გივი ინანიშვილის, ვანო თვალავაძის, რევაზ კანაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი. ადმინისტრაციული საჩივრების ზეპირი მოსმენა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2013 წლის 26 სექტემბერს 16.00 საათზე დაინიშნა. იმავე დღეს 11.00 საათზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავის ბიზნეს-ცენტრში საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მიწვეულნი იყვნენ მთავრობის წევრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები, საყდრისი-ყარაღიანის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები, კომპანია RMG Gold-ის წარმოადგენლები და ქალბატონი ირინა ღამბაშიძე. შეხვედრის შემდეგ მედიასთან კომენტარი გააკეთა მინისტრმა ოდიშარიამ, რომელმაც განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ძეგლის გადატანისა და მასთან დაკავშირებული კომისიის შექმნის შესახებ. „ძეგლი გადავა შესაბამის ლანდშაფტურ სივრცეში, იმ არსებული ზონიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, ეს იქნება ბოლნისში და ეს იქნება ტურისტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი”, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ“[54].

პრემიერ-მინისტრს არ გააჩნდა უფლებამოსილება, მოლაპარაკების ან რაიმე სხვა ფორმით მიეღო გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელზეც ჯერ ადმინისტრაციული წარმოება არ იყო დასრულებული. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში მთავრობის მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა შალვა თადუმაძემ განაცხადა, რომ არ იყო ინფორმირებული პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრის თაობაზე და ეს შეხვედრა სამართლებრივად არაფერს არ ნიშნავდა, ხოლო შემდეგ ხუთი საათის განმავლობაში გულმოდგინედ ისმენდა საჩივრების ავტორების არგუმენტებს, შედეგი ისეთი დადგა, როგორიც პრემიერმა და კულტურის მინისტრმა წინასწარ დაანონსეს: 2013 წლის 3 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობის განკარგულებას (#1430) „დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის, რაულ გვეტაძის, გივი ინანიშვილის, ვანო თვალავაძის, რევაზ კანაშვილის ასოციაცია „მწვანე ალეტერნატივას“ და ირინა ღამბაშიძის, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“. პრემიერ-მინისტრისა და მისი იურიდიული სამსახურის არაობიექტურობა მოგვიანებით დადასტურდა, როდესაც ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლომ, შემდეგ კი სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნეს კულტურისა და ძეგლთა და დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანება, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს მოეხსნა უძრავი ძეგლის სტატუსი.

[54] „გურამ ოდიშარია: საყდრისის ძეგლი არსებული ზონიდან ბოლნისში გადავა“, 26 სექტემბერი, 2013 http://www.epn.ge/

ასევე წინასწარ, კომპანია „ფერის“ მიერ ხდის ხეობაში „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის წარდგენისა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე გამოაცხადეს საკითხი გადაწყვეტილად პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ. მაგალითად, ასეთი განცხადება გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის 16 სექტემბერს, როდესაც ვიცე-პრემიერ, კახა კალაძესთან ერთად, აჭარაში "შუახევი ჰესის" მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი: „მე პარასკევს მოწვეული მყავდა მისი უწმინდესობა პატრიაქი და პატრიაქიც კი შეაწუხეს და ორი თხოვნა გამოატანეს, რომ ჰესი არ აშებულიყო ორ ადგილზე: ერთ ადგილზე - ხდის ხეობაში, სადაც თურმე წყალი დააკლდება ხეობას და მეორე თხოვნა - ისევ ხუდონჰესზე, რომ იქ წყალი მოემატება. პატრიარქს კარგად ავუხსენი და მისმა უწმინდესობამ კარგად გაიგო და ვთხოვე მას, რომ პირიქით, მხარი დაეჭირა... რა თქმა უნდა, ბუნებას აკლდება, სადღაც რაღაცა დაიფარება წყლით. ჩვენ გავითვალისწინებთ თითოეული მოსახლის ინტერესს, ყველას დავაკმაყოფილებთ, მაგრამ არ შეიძლება, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შეუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს, რომლებიც ხმაურობენ და მათ მეტი არაფერი არ შეუძლიათ“[55]. აღნიშნული განცხადება, რომელიც სამწუხაროდ არ იყო ამ შინაარსის ერთადერთი განცხადება, წარმოადგენს დაგეგმილ პროექტზე გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების სრული უგულებელყოფისა და კომპეტენტურ ორგანოებსა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე ზეწოლის და ასევე, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობის თვალსაჩინო მაგალითს[56].

გასაკვირი არ არის, რომ ამგვარ ზეწოლას ვერ გაუძლო გარემოს დაცვის სამინისტრომ და ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გაექარწყლებინა პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერის გულისწყრომა სამინისტროს მიერ 2013 წლის მარტში ამ პროექტთან დაკავშირებით გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის გამო[57]. პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერის განცხადებებით დაიმედებულმა შპს „ყაზბეგი ჰესმა“ (შპს „ფერის“ შვილობილი კომპანია), მეორედ წარადგინა სანებართვოდ ხდის ხეობაში „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში[58] და მიუხედავად იმისა, რომ არსებითად, ორივე პროექტი იდენტური იყო გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ამჯერად, გარემოს დაცვის სამინისტრომ დადებითი დასკვნა გასცა. ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გაცემას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა:

1. სამინისტრომ მხოლოდ ორ კვირაში დაასრულა ეკოლოგიური ექსპერტიზის მომზადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, განსხვავებით 2013 წლის გაზაფხულისა, როდესაც საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სამინისტრომ ისარგებლა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით და ადმინისტრაციული წარმოების ვადა სამ თვემდე გაზარდა;
2. ადმინისტრაციული წარმოების შემჭიდროებული ვადების გამო, მხოლოდ სამმა ორგანიზაციამ (არასამთავრობო ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივა, სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდა“) მოახერხა კომენტარების მოწოდება წინასწარი განხილვებისა და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, განსხვავებით წინა შემთხვევისაგან, როდესაც 17 ორგანიზაციისა და ექსპერტის კომენტარები იქნა მიწოდებული სამინისტროსთვის. როგორც სამინისტროში გამართულ განხილვაზე აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ (ლაშა ჩხარტიშვილმა), შენიშვნების სიმცირე განაპირობა პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერის მხრიდან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ზეწოლის ფაქტმაც;
3. სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში ჩატარებული საჯარო განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა - ის დასკვნის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე გაიმართა, რაც მიუთითებს, რომ რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო;

[55] „ივანიშვილი: პატრიარქიც კი შეაწუხეს და ორი თხოვნა გამოატანეს“ http://netgazeti.ge 2013.09.16

[56] აღნიშნულ საკითხზე განცხადება გააკეთა 54-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით“, 15 ოქტომბერი, 2013 წ. www.greenalt.org

[57] დაწუნებული გზშ ანგარიში მომზადებული იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „თბილწყალგეოს“ მიერ.

[58] ახალი გზშ ანგარიში მოამზადა შპს „გამა კონსალტინგმა“

4. განსხვავებით პირველი პროექტისგან, სამინისტრომ პრაქტიულად არ ასახა დამოუკიდებელი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზციების მხრიდან გამოთქმული არც ერთი შენიშვნა და არც დაასაბუთა ამის მიზეზი;
5. „ყაზბეგი ჰესის“ პროექტის შედეგად ძირითად უარყოფით ზეგავლენას ფაუნა განიცდის. ამის მიუხედავად, სამინისტრომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადების პროცესში არ ჩართო არც ერთი ზოოლოგი და ცხოველთა ეკოლოგი[59];
6. საექსპერტო კომისიაში სამინისტრომ ჩართო სწორედ ის ექსპერტები (სამინისტროს თანამშრომლები: თეიმურაზ ტბელიშვილი, ზაურ დოლიძე, თეონა ქარჩავა), რომლებმაც სრულიად უსამართლოდ და დაუსაბუთებლად „დარიალჰესის“ გზშ ანგარიშზე დადებითი დასკვნა მოამზადეს[60]. თავის დროზე “დარიალჰესის“ გზშ ანგარიშის შემსწავლელი საექსპერტო კომისია მთლიანად გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტებისგან შედგებოდა. სამინისტრომ არ გაითვალისწინა, თუ რა ტიპის ზეგავლენასთან იყო დაკავშირებული პროექტი და არ უზრუნველყო კომისიის მუშაობაში სათანადო სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის სპეციალისტების მოწვევა. კომისიაში არ იყო არც ერთი ბოტანიკოსი, ზოოლოგი, ეკოლოგი, ლანდშაფტის და დაცული ტერიტორიების სპეციალისტი, რომლებიც შეძლებდნენ განეხილათ პროექტის რეალური ზეგავლენას ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე. საექსპერტო კომისიის შემადგენლობა და მათი დავალებები ისე იყო შედგენილი, რომ პროექტი „განწირული“ იყო დადებითი დასკვნისათვის.

შეუცვლელი საჯარო მოხელეები

თითქმის ყველა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტის შემუშავება, რომლებიც მორგებული იყვნენ კონკრეტული კომპანიების ინტერესებზე, უშუალოდ არის დაკავშირებული ირაკლი ხმალაძესთან, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მთავრობის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მართალია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ, პრაქტიკულად ყველა ჩამოთვლილი ნორმატიული აქტი გააუქმა, მაგრამ ამას სამწუხაროდ, არ მიეცა არც სათანადო პოლიტიკური და არც სამართლებრივი შეფასება, ხოლო ირაკლი ხმალაძე დაწინაურდა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა[61]. ენერგეტიკის სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობა კი ზაზა ნანობაშვილმა დაიკავა, რომელიც წინა მთავრობის კანცელარიაში იურიდიულ სამსახურს განაგებდა და შესაბამისად, ყველა ის გადაწყვეტილება, რომელსაც „ქართული ოცნება“ ცოდვად უთვლიდა წინა მთავრობას, უშუალოდ მისი ვიზირებით მიიღებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომაც გაგრძელდა, დაუსაბუთებელი „საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების“ მომიზეზებით, კერძო პირების/კომპანიების მაამებელი აქტების შემუშავების ტრადიცია. ზემოხსენებული საყდრისის შემთხვევასთან ერთად, ამის ნათელი მაგალითია თურქული კომპანია “აჭარენერჯი 2007”-ის მოთხოვნით „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლის თანახმად, დაშვებული იქნა საქართველოს ტერიტორიაზე თბოელექტროსადგურების ნარჩენი აქროლადი და მძიმე ნაცრის შემოტანა[62]. პარლამენტში და საჯარო

[59] მინისტრის მიერ დამტკიცებული საექსპერტო კომისიის შემადგენლობა და კომისიის წევრთა მიერ მომზადებული დასკვნები გასაჯაროვდა დასკვნის გამოქვეყების შემდგომ, კანონმდებლობის შესაბამისად.

[60] მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიის შემადგენლობა და წევრთა მიერ შემუშავებული დასკვნები საჯაროა საბოლოო დასკვნის დამტკიცების შემდეგ.

[61] ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა საქართველოს მთავრობის იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსი ზაზა ნანობაშვილი, რომელსაც ვიზა აქვს მიცემული ყოფილი მთავრობის ყველა იმ უკანონო გადაწყვეტილებაზე, რომელიც ახალმა მთავრობამ გააუქმა.

[62] „ვისთვის ითხოვს ენერგეტიკის სამინისტრო ნაცრის იმპორტს“, „ნეტგაზეთი“, 2013.07.17

განხილვებზე ამ კანონპროექტის დაცვა სწორედ ირაკლი ხმალაძეს მიანდო საქართველოს მთავრობამ. მიუხედავად გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების ნაწილის წინააღმდეგობისა, ენერგეტიკის სამინისტრომ მაინც შეძლო პარლამენტში საკმარისი რაოდენობის ხმების მოპოვება.

ბოლოთქმა

მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები მწვანე ალტერნატივას მიერ კვლევების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო

საყდრისის უძველეს ოქროს მაღაროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართლებრივი დავები სახელმწიფომ პირწმინდად წააგო. 2014 წლის 13 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა და ბათილად ცნო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის უძრავი ძეგლის სტატუსი მოხსნის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება მხარეებმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფლდა კულტურისა და ძეგლთა და დაცვის სამინისტროს სარჩელი და სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 30 მაისის განჩინებით დააკმაყოფილა მოსარჩელეების კახა კოჟორიძისა (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე) და დალი მამულაშვილის (დაბა კაზრეთის მცხოვრები) შუამდგომლობა და შეაჩერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კომპანია RMG Gold -მა საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით კომპანიას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საყდრისი-ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება აეკრძალა[63].

ასევე თვალნათლივ დადასტურდა სახელმწიფოს პოზიციის სიმცდარე საყდრისის მაღაროს ისტორიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. 2014 წლის მაისში კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისის შესახებ დასკვნის მოსამზადებლად მოიწვია საერთაშორიო ექსპერტები: გერმანელი არქეოლოგი, ალბრეხტ იოჰენხოველი და ბულგარელი გეოლოგი, ვენელინ ჟელევ ჟელევი. სააგენტოს წინდაწინვე აცხადებდა, რომ დასკვნა წარმოაჩენდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, „ცალკეული უწყებებისა თუ პერსონების მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო და დაუმსახურებელი ცილისწამება“, ხოლო მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის დანგრევასთან დაკავშირებული ბრალდება - უსაფუძვლო იყო. თუმცა, კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტოს მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ალბრეხტ იოჰენხოველისა და ვენელინ ჟელევ ჟელევის მომზადებულმა დასკვნამ ცალსახად დაადასტურა, რომ საყდრის-ყაჩაღიანის ბორცვზე "აშკარაა ადამიანის კვალი 27-28 მეტრის მეტრის სიღრმეზე სპილენძი-ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებით. დასკვნა ნათელია - იქ ნამდვილად ხორციელდებოდა მადნის მოპოვება“. საყდრისის საბადოს მნიშვნელობას ხაზი გაუსვეს ასევე ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერებმაც. საყდრისის, როგორც მსოფლიოში უძველესი ოქროს მოპოვების ადგილის შესახებ, კვლევა გამოქვეყნდა არაერთ ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემაში, რომელთა საპირწონედ კულტურის სამინისტროს მიერ, RMG-ის კონტრაქტორებისგან

[63] სასამართლომ საყდრისი - ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება შეაჩერა, 2 ივნისი, 2014, www.gyla.ge

შედგენილი კომისიის დასკვნა ნამდვილად არ გამოდგება. განვლილ პერიოდში კომპანია RMG-მ იძულებული გახდა შეეცვალა პოზიცია საყრდისის არქეოლოგიურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით და მისი სრული არქეოლოგიური შესწავლის განხორციელების აუცილებლობის შესახებ ალაპარაკდა[64]. კომპანიის განცხადებების შესაბამისად, პოზიციას ცვლიდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და კულტურული მემკვირდეობის ეროვნული სააგენტოც. 2014 წლის ბოლოს, კომპანიისა და მთავრობის შეთანხმებული მოქმედებების შედეგად, რომელსაც ახლდა კანონმდებლობის უხეში დარღვევები და სასამართლოს გადაწყვეტილებების იგნორირება, RMG-მ განახორციელა აფეთქებები საყდრისის ბორცვზე და შემდეგ გამალებული ტემპით დაიწყო მძიმე ტექნიკის გამოყენებით ძეგლის ნგრევა და წიაღის მოპოვება[65].

დარიალის ხეობაში განხორციელებული ჰესების პროექტები

მწვანე ალტერნატივამ არაერთხელ განახცადა, რომ დარიალ-ჰესისა და ლარსი-ჰესის მშენებლობის ნებართვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაცემის პროცესში უგულველყოფილი იქნა გარემოსდაცვითი საკითხები; გარდა იმ პრობლემებისა, რომელიც ემუქრება ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივ და სოციალური გარემოს ამ პროექტების შედეგად, ჰესების დაპროექტებისას არ იქნა ჯეროვნად გათვალისწინებული ის საფრთხეები, რომლებიც მოელოდა ენერგეტიკულ ობიექტებსა და იქ დასაქმებულ ადამიანებს უარყოფითი გეოლოგიური პროცესების შედეგად. საკონსულტაციო კომპანიების „გამასა“ და „შტუკი კავკასიის“ მიერ მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი ისე დამტკიცდა და ისე დაიწყო პროექტის განხორციელება, რომ არასათანადოდ იყო შესწავლილი ჰიდროლოგიისა და გეოლოგიის საკითხები. კლიმატის ცვლილების შედეგად მყინვარების დაჩქარებული დნობით გამოწვეული წყლისა და მყარი ნატანის ხარჯის ცვლილების საკითხი ასევე არ იქნა გათვალისწინებული ჰესის პროექტის შემუშავებისას. გზშ ანგარიშში არანაირი ეჭვი არ იყო შეტანილი, თუ რამდენად სწორად იყო შერჩეული ჰესების განთავსების ადგილი. ანგარიშში პირდაპირ ეწერა, რომ „ჰესის ოპერირების პროცესში საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი მინიმალურია“. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის, მწვანე ალტერნატივას არგუმენტებზე უფრო სარწმუნო გამოდგა მისი თანამშრომლებისა და ჰესის აშენების ლობისტების თვალსაზრისი. მაგალითად, ომარ ქუცნაშვილი წერდა, რომ „ნიშანდობლივი და მისასალმებელია ისიც, რომ აღნიშნული ობიექტები (იგულისხმება დარიალ-ჰესი, ლარსი-ჰესი და ყაზბეგი-ჰესი) დაპროექტებულია თანამედროვე უმაღლესი სამშენებლო ტექნოლოგიების და სტანდარტების გათვალისწინებით. პროექტები სრულად ითვალისწინებენ ადგილობრივ ბუნებრივ და ტექტოგენურ პირობებს. ადეკვატურად და ობიექტურადაა შეფასებული აღნიშნული ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედება“.

მწვანე ალტერნატივას არგუმენტები იმის თაობაზე, რომ დარიალჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არასწორად იყო ჩატარებული და შესაბამისად, სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპეტრიზის დადებითი დასკვნა ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, არ გაიზიარა არც თბილისის საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ. მათ მხარი დაუჭირეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და კომპანია „ფერის“ შვილობილი სს „დარიალი ენერჯის“ და მწვანე ალტერნატივას სარჩელები არ დააკმაყოფილეს.

2014 წლის 17 მაისს, დარიალის ხეობაში დევდორაკის ხეობიდან მეწყერი ჩამოწვა, რომელმაც დააზიანა დასრულებული ლარსი-ჰესი და მშენებარე დარიალ-ჰესი. ამ კატასტროფას მსხვერპლიც მოჰყვა,

[64] საყდრისი იურიდიულ ლაბირინთში, ავტორი ეკა მაღალდაძე, 31 ოქტომბერი 2014, www.liberali.ge

[65] დღეისათვის მწვანე ალტერნატივა კომპანია RMG-ის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე აწარმოებს რამდენიმე დავას - როგორც ადმინისტრაციული წესით, ისე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში. ინფორმაცია სრულად ამ დავების შესახებ ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე.

დაიღუპნენ ჰესების მშენებლობაზე დასაქმებულებიც. 2014 წლის 20 აგვისტოს მეწყერი კიდევ ერთხელ ჩამოწვა, რომელსაც გაცილებით მძიმე შედეგები მოყვა დასრულებული ლარსი-ჰესისათვის. დაიღუპა დარიალ-ჰესზე დასაქმებული ორი ადამიანი. ეს ყოველივე განაპირობა ამ ჰესების დაპროექტებისა და შესაბამისად სანებართვო დოკუმენტაციის გაცემისას დაშვებულმა შეცდომებმა, რომელზეც მიუთითებდა მწვანე ალტერნატივა: არ იქნა გათვალისწინებული, რომ დევდორაკიდან პერიოდულად ჩამოდის სხვადასხვა მასშტაბის მეწყერი და ადრე თუ გვიან ასეთი ტრაგედია აუცილებლად მოხდებოდა.

საბოლოოდ, როგორც მშენებელ კომპანიას, ისე სამინისტროს მოუხდათ დაშვებული შეცდომის აღიარება. 2014 წლის 7 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N№-612 ბრძანება „,დარიალენერჯი''-ს „დარიალი“ ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და მტკიცების შესახებ“. როგორც კომპანიის მიერ წარმოადგენილ დოკუმენტაციაში, ისე სამინისტროს დასკვნაში აღნიშნულია, რომ თავდაპირველი პროექტის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული დევდორაკიდან მეწყერების ჩამოწოლის ისტორიული გამოცდილება, ხოლო სტიქიური უბედურების გამეორების რისკი ისევ მაღალი იყო. სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოკვლეული: რამდენად სწორად სრულდებოდა სანებართვო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულები პროექტის განმახორციელებლების მიერ; უკავშირდება თუ არა 2014 წლის 17 მაისსა და 20 აგვისტოს განვითარებული გეოდინამიკური პროცესების შედეგად ამ მიყენებული ზიანი და ადამიანების დაღუპვა სანებართვო პირობების შესრულების ხარისხს.

ხდის ხეობაში, მდინარე ბროლისწყალზე აშენებული „ყაზბეგი ჰესი“ ექსპლუატაციაში 2014 წლის 16 ოქტომბერს შევიდა. ჰესი ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ გახსნა. ექსპლუატაციიდან შესვლიდან დაახლოებით ერთ თვეში მწვანე ალტერნატივამ და „სტეფანწმიდამ“ მონიტორინგი ჩაატარეს და აღმოაჩინეს, რომ მიუხედავად ნებართვით დადგენილი ვალდებულებებისა, მდინარე ბროლისწყალი პრაქტიკულად უწყლოდ იყო დარჩენილი ერთ კილომეტრზე მეტ მონაკვეთზე. ამის შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა ორგანიზაციებმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიეწოდეს, რომელიც მედიაშიც გამოქვეყნდა. მიუხედავად სამინისტროს განცხადებისა, რომ „ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირები უახლოეს პერიოდში განახორციელებენ ხდისწყალზე (ბროლისწყალზე) ჰიდრომეტრულ გაზომვითი სამუშაოების ჩატარებას და შესაბამისად ეკოლოგიური ხარჯის მონიტორინგს. შესწავლის შედეგების გათვალისწინებით მოხდება შესაბამისი რეგირება“, მათ არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ.

* * * * * * * * * * * *

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია (ხე-ტყის დამზადება, წიაღის მოპოვება/გადამუშავება, ნადირობა, თევზჭერა, ჰიდროენერგეტიკა) და ამ ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საწარმოების პრივატიზაცია გახდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. საინვესტიციო პროექტების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღებოდა სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების გათვალისწინების გარეშე, საექსპლუატაციო ბუნებრივი რესურსების მოცულობისა და მდგომარეობის შესახებ არაზუსტი მონაცემების საფუძველზე; სალიცენზიო და სანებართვო პირობების მონიტორინგი პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა. ამგვარი პოლიტიკა ხელს უწყობდა ბუნებრივი რესურსების არამდგრად გამოყენებას და გარემოს მდგომარეობის გაუარესებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების სამართლებრივი მექანიზმების გაუმართაობის პირობებში, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ სფეროებში ადგილი ჰქონდა ელიტური კორუფციის სხვადასხვა გამოხატულებას.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ პროგრამაში წინა ხელისუფლების მუშაობა უარყოფითად იყო შეფასებული და აღნიშნული იყო, რომ მან „პრიორიტეტად დაისახა არა მდგრადი ეკონომიკური განვითარება, არამედ ერთჯერადი ფინანსური, მათ შორის, კორუფციული, რესურსების მობილიზება, ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ექსპლუატაციისა და გარემოს განადგურების „დაკანონების” გზით“. საპირისპიროდ, „ქართული ოცნება“ მიიჩნევდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა დაფუძნებოდა მდგრადი განვითარების პრინციპს, რომლის დროსაც დაბალანსებული იქნება გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური საკითხები“.

მიუხედავად წინასაარჩევნი დაპირებებისა, სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ გამონახა ეკონომიკის მდგრადი განვითარების გზები და გააგრძელა წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, გაგრძელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის იგნორირებით ინიცირებულ პროექტები. არ გაუმჯობესებულა გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან, საზოგადოების მონაწილეობასთან და ხელისუფლების ანგარიშვალედებულებასთან დაკავშირებული კანონმებლობა და პრაქტიკა. შესაბამისად, არ მოსპობილა ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორებიც. წარმოდგენილმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაასტურა, რომ კორუფციასთან სისტემური ბრძოლის, კანონის უზენაესობის, სამართლიანობის აღდგენის, გარემოს დაცვის სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადების, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალებულებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდის თაობაზე, წინასაარჩევნო პერიოდში უხვად გაცემული დაპირებების მიუხედავად, ახალი ხელისუფლება აგრძელებს მისი წინამორბედის დროს დაწყებულ „ჩვეული პრაქტიკას“. უფრო მეტიც, ახალი ხელისუფლების პირობებში უფრო ფართო მასშტაბი მიიღო იმ საზოგადოებრივი ორგანიზციებსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეწოლისა და ქვეყნის მტრებად გამოცხადების ტენდენციამ, რომლებსაც შესაძლოა განსხვავებული აზრი გააჩნდეთ სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

ბუნებრივი რესურსების არასწორი მართვა იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ინტერესების შელახვასა და გარემოს დეგრადაციას. სოციალური ინტერესების შელახვაში იგულისხმება როგორც საკუთრების უფლებების შელახვა (როდესაც პროექტის არეალი იჭრება ტერიტორიაზე, რომელსაც მოსახლეობა კანონიერად ფლობს და/ან ტრადიციულად იყენებს), ისე საბინადრო გარემოს გაუარესება (მაგალითად, სასმელი წყლის, ჰაერის, ნიადაგის ხარისხის გაუარესება, საზოგადოებრივი სივრცეების - გამწვანებული ტერიტორიების, პარკების, სარეკრეაციო ზონების განადგურება). ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების არასწორი მართვა/არარაციონალური გამოყენება იწვევს მათ სწრაფ გამოლევას და აძლიერებს ბუნებრივი კატასტროფების რისკს (ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოშობილი მეწყერები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია და ა.შ.). ეს საბოლოო ჯამში იწვევს ბუნებრივ რესურსებზე და ეკოსისტემურ სერვისებზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბებას და ზრდის სოციალურ დაძაბულობას. სოციალური ფაქტორები, როგორიცაა სიღარიბე, განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების დეფიციტი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კორუფციის წარმოშობისათვის. არასწორი მმართველობის გამოხატულებებია საკანონმდებლო კოლიზიები, სახელმწიფო ინსტიტუციებთან არსებული ინტერესთა კონფლიქტები, გადაწყვეტილების მიღების გაუმჭვირვალე პროცედურები, და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს (ელიტური) კორუფციის წარმოშობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი რეკომენდაციები მიმართულია როგორც შერჩეულ სფეროებში (ტყითსარგებლობა/ნადირობა, წიაღით სარგებლობა, ჰიდროენერგეტიკა) გასატარებელი ღონისძიებების, ისე ზოგადად გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებისა და კორუფციის/ინტერესთა კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად:

- აუცილებელია სხვადასხვა პროექტების „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ განსაზღვრისათვის სამართლებრივი კრიტერიუმებისა და პროცედურების დადგენა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები. აღნიშნული პროცედურების შემოღება შექმნის ბარიერს, რათა გარკვეული პიროვნების და/ან კომპანიების კერძო ინტერესი არ წარმოჩინდეს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესად;
- საარჩევნო პროცესებისა და საარჩევნო კამპანიისათვის შეწირულობების მონიტორინგისა და კონტროლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფა;
- "საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" და "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის, "კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის“ კონვენციის, "კორუფციაზე სისხლის სამართლის“ კონვენციის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ,საქართველოში ბიზნეს და საჯარო სექტორებს შორის პიროვნებების გადაადგილების მონიტორინგი და კანონდარღვევების დროული აღკვეთა:
- ქონების დეკლარირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დახვეწა, მათ შორის დეკლარაციაში არსებული ინფორმაციის გადამოწმების მექანიზმების დანერგვა;
- ინსტიტუციური მოდელის შემუშავება და დანერგვა, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტებს. დღეს არსებული მოდელით, ერთ უწყებაში თავმოყრილია ნებართვებისა და ან ლიცენზიების გაცემის და მათზე მონიტორინგის/კონტროლის ფუნქციები[66], ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, უწყებები რეგულირების საფასურს იღებენ იმ საწარმოებისგან, რომელთა შემოწმება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, საქმიანობის შეჩერება ევალებათ[67].

[66] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
[67] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

- ბუნებრივი რესურსების გამოყენება-გადამუშავებასთან დაკავშირებული საწარმოების პრივატიზების და ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის უზრუნველმფოფი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. გადაწყვეტილების პროცესში ჩართვა უნდა ხორციელდებოდეს ადრეული ეტაპიდანვე, როცა ვარიანტები ჯერ კიდევ ღიაა, როგორც ამას მოითხოვს ორჰუსის კონვენცია. მათ შორის ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც განსაზღვრულია ორჰუსის კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლებით.
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძვლიანი გადამუშავება/სრულყოფა: მისი ჰარმონიზაცია მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია) ასევე ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან (მათ შორის 85/337/EEC დირექტივასთან) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ესპოს (გზშ) კონვენციასთან[68], ასევე სასურველია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეგულაციების გათვალისწინება. როგორც მინიმუმ, უმოკლეს ხანში, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას/ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალში წიაღის მოპოვების შეტანა.
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვების (გზნ)/მშენებლობის ნებართვების პირობების შესრულების მონიტორინგის გამკაცრება; გზნ მონიტორინგის მეთოდოლოგიების სხვადასხვა საქმიანობისათვის (ჰესები, წიაღი), ასევე სარგებლობის ლიცენზიების მონიტორინგის მეთოდოლოგიების (ტყითსარგებლობა, ნადირობა, თევზჭერა) შემუშავება და დამტკიცება; მონიტორინგისა და პირობების შესრულების ანგარიშების ამსახველი მონაცემთა ბაზის შექმნა და პროაქტიული გამოქვეყნება; მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ლიცენზიებისა და ნებართვების მონიტორინგის განუხორციელებლობის შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გამკაცრება; კომპანიების მიერ ნებართვების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლობის გამკაცრება.
- ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში (გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე) საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის ეფექტური მექანიზმების შემუშავება მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და დანერგვა; საზოგადოების მონაწილეობა უნდა უზრუნველყოფილი იქნას ადრეული ეტაპიდანვე: ამათუიმ ბუნებრივი რესურსის ხანგრძლივვადიანი სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის, იჯარით გასხვისების ან ენერგეტიკული პროექტების განხორციელება-არგანხორციელების შესახებ გადაწყვეტიოების მიღებამდე.
- ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან (მაგ. ტყის არამერქნული რესურსის მოპოვება, მეორეხარისხოვანი მექნული რესურსით სარგებლობა, ნადირობა, ბაზიერობა და ა.შ.) დაკავშირებულ კანონმდებლობაში ადგილობრივი ტრადიციებისა და საჭიროებების გათვალისწინება, მდგრადი გამოყენების პრინციპებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

[68] Convention on Environmental Impact Assessment in a Transboundary Context (Espoo, 1991) - the 'Espoo (EIA) Convention

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 2000 წელს. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის გზით, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებით.

დაარსების დღიდან ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში; გარდა ამისა, ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ენერგეტიკა/კლიმატის ცვლილება და სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა, ხე-ტყის არალეგალური ჭრის და ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობა.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრი. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. ასოციაცია არის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის წევრი (CEE Bankwatch Network); მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის "გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის" წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2009 წლიდან მწვანე ალტერნატივა იწყებს "საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის ქსელის" ჩამოყალიბებას (Georgian Advocacy Network for Environmental and Social Justice).

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული, ბინა №13
ტელ: 22 38 74; 29 27 73; ფაქსი: 22 38 74
greenalt@greenalt.org; www.greenalt.org

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.